# საჰრბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 23 იანვარი 2003 №8 (1779) | ფასი 50 თეთრი




LA GAZZETTA DELLO SPORT

კახა კალაძის გოლს თანაგუნდელებმა ოთხი მიაყოლეს

# კალაძემ გავირებული კიევო გახედნა

გოლი იყო, გოლის უნახავს გაგხდიდაო, ვერ ვიტყვით, მაგრამ კალაძის „მაკრატელა“ ერთობ საამო საცქერი და „მილანისთვის“ აგრერიგად საჭირო რომ იყო, ცხადია. იტალიის თასის მეოთხედფინალის პირველი, საშინაო მატჩის უგოლო ფრით გასრულების მერე „მილანს“ „მფრინავ ვირებად“ მონათლული „კიევო“ შინ ყინჩად კი დაუხვდა, მაგრამ სწორედ კალაძის პირველივე წუთზე გატანილმა ჩამოაყრევინა ყურები. ჩვენებურის დაწყებული საქმე მისმა თანაგუნდელებმა გააგრძელეს და 5:2 მოიგეს.

აქვე ვთქვათ, რომ წინა სეზონებში გოლსგაჩვეული კალაძისთვის ვერონაში გატანილი ამ სეზონში პირველია.

# ქართველების უკადრებელი ესპანელებმა იკადრეს

## რუსეთი ჩაუშვეს და გაუშვეს

რაგბის საერთაშორისო საბჭომ (IRB) რუსეთის ნაკრები მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირიდან მოკვეთა. საბჭომ რუსებს ეს სასჯელი არ აკმარა და 75 ათასი გირვანქა სტერლინგითაც დააჯარიმა.

ძალის თავი სამი სამხრეთაფრიკელის — იოჰან ჰენდრიქსის, რენე ფოლხენკის და ვერნერ პიტერსის გარუსებაშია დამარხული.

IRB-ის დებულებით, მორაგბეს სხვა ქვეყნის ნაკრებში თამაშის უფლება მაშინ აქვს, თუ მშობლიურ ნაკრებში არ უთამაშია და მისი წინაპრები იმ ქვეყნიდან იყვნენ, რომლის სახელითაც თამაშს აპირებს.

რუსეთის რაგბის კავშირის პრეზიდენტი იური ნიკოლაევი კი იფიცებოდა, სამივეს ბებიაბაბუები რუსები იყვნენო. სხვათა შორის, იოჰან ჰენდრიქსის სანაკრებო დებიუტი შარშან შედგა თბილისში საქართველოს ნაკრებთან. მაშინ ჩვენებს აზრადაც არ მოსვლიათ, სამხრეთაფრიკელის წარმომავლობით დაინტერესებულიყვნენ, მიზეზი ეს იყო, რაგბიში ჩივილი არაკაცური საქციელიაო.

შარშანდელ ნოემბერში ჩვენგან ძლეულმა რუსეთმა მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირი რეპეშაჟიდან (სანუგეშო ტურნირიდან) განაგრძო და ამ გზით ცდილობდა ავსტრალიაში მოხვედრას. რეპეშაჟის პირველ წრეში რუსეთმა ორრაუნდიანი ბრძოლა მოუგო ესპანეთს და მეორე წრეში 25 იანვარს ტუნისს უნდა შებმოდა, მაგრამ...

ესპანელებმა IRB-ში იჩივლეს: რუსებმა სამი სამხრეთაფრიკელი რომ ათამაშეს, მათი რუსული წარმომავლობა ეჭვს იწვევსო. IRB რუსებს ჩაეძია, დამამტკიცებელი საბუთები მოსთხოვა და პასუხი ვერ მიიღო.

„რუსებს დრო მივეცით, რათა სამი სამხრეთაფრიკელის რუსული წარმომავლობა დაემტკიცებინათ, მაგრამ მათ ეს ვერ შეძლეს. სხვა გზა არ იყო, დებულების თანახმად, რუსეთი მოვხსენით მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირიდან. საწყენია, რომ ეს დაემართა რაგბის კავშირს, რომელსაც კარგი პერსპექტივა ჰქონდა. სხვებისთვის ეს გაკვეთილი იქნება“ — განაცხადა რაგბის საერთაშორისო საბჭოს ვიცე-პრეზიდენტმა სიდ მილერმა, რომელიც ამავდროულად ორგანიზაცია „მსოფლიოს თასის“ თავმჯდომარეა.

მსოფლიოს თასის შესარჩევ ტურნირში რუსეთის ესპანეთი შეცვლის. დასჯილებს ორკვირიანი ვადა აქვთ განაჩენის გასაჩივრებლად.

# ბებერი აქლემი ფინიშთან დაეცა

## 5 საათი, 5 სეტი, 83 გეიმი, 21:19!

რამდენიმე დღეც და შორეულ მზიან და პლაჟებიან ავსტრალიაში საჩოგბურთო ლიანგი სეზონის პირველ ტრიუმფატორებს იხილავს.

ბედ-იღბლის აცა-ბაცა ტალღებმა ჩარეცხა ბევრი ფავორიტი, ბევრად მეტი ბალასტი და ათდღიანი მიქცევა-მოქცევის შემდეგ მელბურნის კორტებს რვა რჩეული, ოთხი გოგო და ოთხი ბიჭი შეატოვა. ამათში არიან მომავალი ჩემპიონები და ვინც უნდა იყვნენ ისინი, ერთი რამ ნაღდია, არ იქნებიან ოქროს თევზის შემთხვევით მომხელთებელი უსაქმურები — დიდი სლემის ნახევარფინალში ასეთები ვერ ხვდებიან.

წინაა საჩემპიონო, უშეღავათო რკენანი, არც მანამდელი ბრძოლები იყო სეირნობანი. აი, თუნდ სისხლმჩქეფარე ტეხასელი კოვბოის ენდი როდიკის და დაღვინებული სახარელი ბედუინის იუნეს ელ აინაუის ხუთსაათიანი საარაკო შეხლა რად ღირს. მატჩი-მარათონი ხუთ სეტს გაგრძელდა და 83 გეიმი მოიცვა. ბოლო სეტი 21:19 დასრულდა საბოლოოდ გამარჯვება სიჭაბუკემ იზეიმა...

...ქალებში ნახევარფინალში არიან, რა თქმა უნდა, ჩოგნის სამყაროს შავი მანათობელნი — დები უილიამსები. მათ პირისპირ აღმართულან ბელგიელები, ბუთხუზა კიმ კლაისტერსი და სიფრიფანა ჟუსტინ, არდენზე გათხოვილი ენენი. კლაისტერსს ფორმას უქებენ და ასაკით უმცროსი, წოდებით კი უფროსი უილიამსის, ტანტანკა სერენას დამხობას უწინასწარმეტყველებენ. ბელგიელს თითქოს სერენაც უფრთხის, რაკი მასთან შარშან, ამ ერთი თვის წინ სამარცხვინოდ წაუგია. ვნახოთ, ამ დღეებში გამოჩნდება შავი თუ თეთრი.



გამარჯვებით გულმოცემული ენდი როდიკი და მარცხით გულმკვდარი იუნეს ელ აინაუი



REUTERS

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ინგლისი

პრემიერლიგა
გადადებული მატჩები
ჩარლტონი 4:2 ვესტ ჰემი
ნიუკასლი 1:0 ბოლტონი
მეორე დივიზიონი
გადადებული მატჩი
სუინდონი 1:1 ბლეკპული
ლიგის თასი. 1/2 ფინალი
საპასუხო მატჩი
ბლეკბერნი 1:3 *მანჩესტერი* (1:1)

## საფრანგეთი

I დივიზიონი. XXIII ტური
ლიონი 4:1 სოშო
რენი 0:1 ბასტია
ბორდო 4:2 გენგამი
მონაკო 1:1 ლანსი
ლე ავრი 1:0 მონპელიე
ნიცა 0:0 პსჟ
ნანტი 4:1 სედანი
ლილი 0:1 სტრასბური
აიაჩო 1:0 ტრუა
II დივიზიონი. XXII ტური
ამიენი 0:0 ნანსი
შატორუ 1:1 ვალანსი
კლერმონი 1:0 ვასკეალი
გრენობლი 3:0 კრეტეი
გენიონი 2:0 ბოვე
ისტრი 1:3 ნიორი
ლავალი 3:2 კაენი
ლორიანი 2:0 მეცი
რეიმსი 1:0 სენტ ეტიენი

## იტალია

თასის 1/4 ფინალი
საპასუხო მატჩები
*რომა* 6:3 ვიჩენცა (2:1)
კიევო 2:5 *მილანი* (0:0)

## ესპანეთი

თასის 1/4 ფინალი.
პირველი მატჩები
დეპორტივო 1:0 მურსია
უელვა 1:0 ატლეტიკო
სევილია 1:1 ოსასუნა

## ბელგია

თასის 1/4 ფინალი
პირველი მატჩები
სტანდარდი 3:1 ლუვიე
ბრიუგე 3:2 ლომელი
ანდერლეხტი 1:0 სენტ ტრუიდენი
ანტვერპენი 2:1 ბეერსხოტი

## საბერძნეთი

თასის 1/8 ფინალი
საპასუხო მატჩები
იანინა 0:1 *არისი* (0:3)
*ოლიმპიაკოსი* 0:0 პანაჰაიკი (2:0)

## პორტუგალია

თასის 1/8 ფინალი
*ლეირია* 5:2 ფრეამუნდე



ბლეკბერნი — მანჩესტერი. მასპინძელთა ამერიკელ მეკარეს ბრედ ფრიდელს პოლ სქოულზმა ორჯერ გაუტანა

REUTERS ბლეკბერნიდან


ნიცა — პსჟ. იოან ბინიეს დარტყმულს პარიზელი გაბრიელ ჰაინცე გადაეღობა

REUTERS ნიციდან


ნიუკასლი — ბოლტონი. ალან შირერმა ბურთს ჩვეულად უთავაზა

REUTERS ნიუკასლიდან


ლიონი — სოშო. მასპინძელთა ბრაზილიელი ჟუნინიო (მარცხნივ) გუნდს ერთი გოლით შეეწია

REUTERS ლიონიდან

## კალათბურთი

ევროპის ჩემპიონატის
შესარჩევი მატჩები
ჩეხეთი 124:116დ.დ.(104:104) პორტუგალია
თურქეთი 107:67 პოლანდია
ბულგარეთი 87:77 შვეიცარია
რუმინეთი 88:47 დანია
ხორვატია 69:61 ბოსნია
რუსეთი 94:42 ინგლისი
ლიტვა 109:98 უკრაინა
უნგრეთი 83:53 ბელარუსი
ლატვია 93:95დ.დ.(84:84) ესტონეთი
გერმანია 86:78 მაკედონია
საბერძნეთი 85:61 ისრაელი
საფრანგეთი 101:85 პოლონეთი
ესპანეთი 85:66 ბელგია
იტალია 70:78 სლოვენია

საქართველოში პირველი
სპეციალიზებული სალონი-მაღაზია
ბილიარდის სახლი
რუსული პირამიდა, პული, სნუკერი
აქსესუარები Zeus
- კია 42 GEL
- ბურთები 178 GEL
- მაუდი 112 GEL
- მაგიდის განათება 101 GEL
- კიის თარო 24 GEL
- თაროები ბურთებისთვის 47 GEL
- შალითები კიისთვის 19 GEL
- ცარცი, რეზინი 1.3 GEL
900 GEL-დან
მასტერი Master
დახმარება საბილიარდოს გახსნისას, კონსულტაცია, გარანტია, ჩასდაკლება
ტ: 95-57-75: ტ/ფაქსი: 95-88-46
თბილისი, უზნაძის ქ. 2 (ყოფ. კამოს)
11.00-19.30 სთ-მდე კვირის გარდა


ბულგარეთი — შვეიცარია. ჯონათან ედვარდს ბულგარელი ტენჩო ბანევი აესვეტა

REUTERS სოფიიდან

თანამეგობრობის თასი. მოსკოვი 18-26 იანვარი. მეოთხედფინალები

# ტორპედო მოსკოვში მოროზმა გაყინა



ლაშა ჭელიძეს და ზვიად სტურუას კარში ბურთი ორჯერ გაეპარათ

**სკონტო 2:0 ტორპედო**

1:0 ვერპაკოვსკისი (37), 2:0 მოროზი (65)

**სკონტო:** პიადელსი, ისაკოვი, ზემლინსკი, დედურა, ბლაგონადეჟდნი, მოროზი, კოლესნიჩენკო, კორდალიძე, კისელევი, ვერპაკოვსკისი, ელისეევი

**ტორპედო:** სტურუა, დიდავა, ჭელიძე, მახვილაძე, კვეტენაძე, ქემოკლიძე, ასათიანი, ახალკაცი (ოდიკაძე 90), ჩომახიძე, პოროშინი, ჩხეტიანი (ზ. ქუთათელაძე 25, ხვადაგიანი 46)

**გაძევება:** დედურა (70)

**შერიფი 3:0 კაუნასი**

1:0 დადუ (2), 2:0, 3:0 ტუდორი (9, 33პ)

**ფახთაქორი 3:0 ფლორა**

1:0, 2:0 კრიხმანი (7, 38), 3:0 ჯაფაროვი (58)

**ლოკომოტივი 3:1 ბატე**

0:1 ბეგანსკი (27), 1:1 პარკსი (32), 2:1 სოკოლოვი (62), 3:1 ბუჩიჩევიჩი (83)

ძველი ამბავია — ქართული გუნდი ისევ ვადამდე გამოაბუნძულეს მოსკოვური ხალიჩიდან. უსახური ესენგეს თასი კვალავაც აუხდენელ ოცნებად დარჩა საქართველოს ჩემპიონისთვის. ქუთაისის „ტორპედომ" გუშინ ლატვიის ჩემპიონისგან სამეოთხედფინალო ალიყური იგემა.

რიგელთა უპირატესობა მატჩამდეც ჩანდა. რუსულმა საბუქმეიკერო კანტორებმა ლატვიელთა სანახევარფინალო შანსი უფრო დააფასეს და ისეთი კოეფიციენტები გამოაცხვეს, ქართველთა არწაგებაზეც ძნელად დადგებოდა კაცი. თუმც რუს მეკუშეთა პროგნოზი რა მოსატანია. საქართველოს ჩემპიონის საესენგო მარაგი ჩვენთვისაც კარგად ცნობილი იყო. ვერ იყო დამძიმებული „ტორპედო" რუსულ ხალიჩაზე ფეხის მომკიდებელი და ეს გუშინდელმა მატჩმა ცხადად აჩვენა. მიუხედავად ნაქოჯაელართა შემატებისა, ქუთაისელებმა ვერაფერი მოუხერხეს რიგელთა რიგიან, გუნდურ თამაშს. დიდავაც და ქემოკლიძეც სასტარტო შემადგენლობაში გაამწესა შტელინმა, მაგრამ შევსება ოდნავადაც არ დატყობიათ ქართველებს.

სადებიუტო დაზვერვის შემდეგ „სკონტო" რუსულ ტოტალიზატორთა პროგნოზის გამართლებას შეუდგა. ჯერ კორდალიძის ფლანგური გარღვევა გააცუდა ვერპაკოვსკისმა — ლევანმა მართლაც ჩინებულად გაჭრა მეტოქის მარჯვენა ფრთა, მერე კი ელისეევმა დაახანა საგოლე დარტყმა, თუმც დადგა 37-ე წუთი და ვერპაკოვსკისმა ერთბაშად ხუთი ტორპედოელი წამოიკიდა, ხუთეულმა მშვიდად მიაცილა ერთადერთი მეტოქე საჯარიმომდე და ვერც მონადირესავით ჩაწოლილმა სტურუამ იხსნა თანაგუნდელები გოლისგან. ამ დროისთვის გაგა ჩხეტიანი შეცვლილი ჰყავდა ზვიად ქუთათელაძეს, მაგრამ ფაქტობრივად, უმოქმედოდ იყო, რაკილა მალევე ფეხი გადაიბრუნა და მეორე ტაიმს სათადარიგოთა სკამიდან მიადევნა თვალი.

„სკონტოს" ბოსტანშიც ვისროლოთ ქვა და ვთქვათ, რომ „ტორპედომ" მთავარმეგოლე ზურაბ იონანიძის გარეშე ითამაშა — იონანიძეს მოსკოვურმა ყინვამ სიცხე აუწია.

მეორე ტაიმის დებიუტში ქართველებმა გაიბრძოლეს. პოროშინს და ახალკაცს ხელსაყრელი მომენტები ჰქონდათ, თუმც ლატვიელებმა მშვიდად გადაიტანეს ბედს ვერშეგუებული მეტოქის გამოხტომა და მატჩს კვლავ სასურველი სცენარი დაუბრუნეს, მერე კი ქართველებს ისევ ქართველმა მოუღო ბოლო — ლევან კორდალიძის ჩახუჭუჭებული კუთხურისას ჭელიძის თამაღობით მთელმა დაცვამ ჩაიძინა და მოროზმა თავით ჰკრა საგოლედ.

ამ გოლმა ჩვენი ჩემპიონი საბოლოოდ გატეხა, მიუხედავად იმისა, რომ მალე ათი კაცით დარჩა „სკონტო" — გაძევებული იგნას დედურა გამარჯვებულის იერით დაადგა გასახდელის გზას.

ნამატჩევს ტორპედოელებმა კრება მოიწვიეს, თუმც რაზე ისაუბრეს, ჩვენთვის უცნობია, მიუხედავად იმისა, რომ გუშინვე გუნდის მწვრთნელ სოსო ფრუიძეს შევეხმიანეთ. ჩამოვალთ და სათქმელს მერე ვიტყვითო, გვითხრა ფრუიძემ. კრება კი სავარაუდოდ, სატრანსფერო ცვებ-ცხელებას უკავშირდება — ესენგეს თასის, ალბათ, ერთადერთი ღირებულება ხომ პოსტსაბჭოური მაჩტაბით სასელექციო გაწამაწიაა. ქართველებს რომ ჯგუფში ჩარჩენილი ირტიშელი ფეხბ-ურთელები მოეწონათ, იმის თქმის საფუძველსაც გვაძლევს, რომ თავად ტორპედოელებსაც გამოუჩნდნენ მსურველები. ფრუიძის თქმით, ასათიანის, ახალკაცის და სხვათა მომავალი მალე გადაწყდება. რაც შეეხება მოწონებულ ირტიშელებს, ქუთაისელებმა ისინი ასაკის გამო დაიწუნეს.

„ტორპედო" დღეს დაბრუნდება ქუთაისში. საესენგეო თასისთვის ბრძოლას კი რუსეთის, მოლდოვას, ლატვიის და უზბეკეთის ჩემპიონები განაგრძობენ. ქუთაისელთა თანაჯგუფელმა „ლოკომოტივმა" მიუხედავად ანგარიშში ჩამორჩენისა, 3:1 მოუგო ჩვენთვის ნაცნობ „ბატეს". რკინიგზელთა სარეზერვოებში კვლავაც გამოიჩინა თავი კონსტარიკელმა პარკსმა. მოლდოველმა პოლიციელებმა კასიტან თარხნიშვილიანად „ფლორა" დააჭკნეს და ნახევარფინალსაც ორმა ქართველმა უწია — სჩემპიონოდ ლევან კორდალიძის „სკონტოსაც" კარგი შანსი აქვს.



სოსო ფრუიძე

**პაატა კვანტალიანი**

# ვახშამი ქართულ ოჯახში

## დინამო საგაზაფხულო პრეზენტაციისთვის ემზადება

თბილისის „დინამომ" მესამე კვიპროსულ მატჩიც ფრედ ითამაშა. პირველი ორი შეხვედრა 1:1 და 2:2 გამოაცხო, ახლა კი მაზანდას აუწია — ივო შუშაკის გუნდი თემურ ქეცბაიას „ანართოსისს" ეწვია და კვიპროსელთა სამ გოლს ამღენივეთი უპასუხა 3:3.

ქეცბაიას არ უთამაშია. მოგეხსენებათ, კვიპროსის ჩემპიონატი ამ დროისთვის შეჩერებულებაში როლია და „ანართოსისსაც" უქმეებზე მორიგი ტური აქვს სათამაშო. ჰოდა, გუნდმა ქეცბაიას გარდა კიდევ 3-4 წამყვანი მოთამაშე დაასვენა.

მე-16 წუთისთვის „დინამო" 0:3 აგებდა. პირველი ბურთი მასპინძლებმა ქართველთა საჯარიმო მოედანში შექმნილი არეულობის შედეგად გაიტანეს, მომდევნო ორი კი შორეული ძლიერი დარტყმებით.

აქ ერთი ფაქტორია გასათვალისწინებელი. „ანართოსისი" გახურებულ ჩემპიონატშია ჩაბმული, „დინამო" კი მოსამზადებელ ეტაპზეა და ალბათ, ამიტომაც, ჩვენებურებს თავიდან ძალიან გაუჭირდათ.

ტაიმის შუაწელში „დინამომ" თამაში გამოასწორა და მეტოქის ნახევარზე დასახლდა. 26-ე წუთზე ვიტალი დარასელიამ 11-მეტრიანი მოინადირა და რატი ალექსიძემ ერთი ბურთი გაქვითა.

შესვენების შემდეგაც შუშაკელები უტევდნენ. 52-ე წუთზე ლადო ბურდულმა კუთხური ისე ჩააწოდა, რომ ალეკო ამისულაშვილმა ფეხით გაუტანა კვიპროსელებს.

ათი წუთის შემდეგ არჩილ სახვაძემ გაილაღა მარცხენა ფლანგზე, მისი ჩაწოდებული ალექსიძემ მკერდით ჩამოსწია და მიწაზე დაუშვებელ ბურთს ცაციათი მიუჩინა ადგილი „ანართოსისის" კარში.

დინამოელებს კვიპროსელმა მსაჯებმა ორი გოლი არ ჩაუთვალეს. გატანის კარგი შანსი ორჯერ გაუშვა ხელიდან ამისულაშვილმა, ერთხელაც ირაკლი სამხარაძემ ხარიხა შეატოკა.

„დინამომ" ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *ზოიძე (გვარამაძე 48); ხიზანეიშვილი (კარლოსი 46), ამისულაშვილი, შაშიაშვილი, კვირკველია (სახვაძე 46); ბურდული, გოგობერიშვილი, ანჩაბაძე (ვაშაკიძე 46), დარასელია; ალექსიძე, ბობოხიძე (სამხარაძე 46).*

მეორე ტაიმისთვის ივო შუშაკმა, როგორც ხედავთ, ხუთი შეცვლა განახორციელა. შედეგად, მწვრთნელმა 4-4-2 განლაგება 3-4-3-ით შეცვალა — დარასელია და სამხარაძე შესვენების შემდეგ უან დახეული გარემარბების ფუნქციებს ასრულებდნენ, სახვაძე კი მარცხენა ნახევარმცველისას.

ნამატჩევს შუშაკს უთქვამს, გაზაფხულზე ჩემი გუნდი პრეზენტაციას შემოგთავაზებთ — თუ აქამდე მხოლოდ 3-5-2-ით ვთამაშობდით, აწი კიდევ ორით, 4-4-2-ით ან 3-4-3-ით წარვსდგებით, სქემას იმის მიხედვით ავირჩევთ, თუ რომელ მეტოქესთან ვითამაშებთ.

და კიდევ როგორც კი მატჩი დამთავრდა, თემურ ქეცბაიამ მთელი „დინამო" შინ მიიწვია და ვახშმით გაუმასპინძლდა.



რატი ალექსიძემ (№27) დუბლი მიითვალა

**დავით თაგართქილაძე**



მალხაზ ასათიანი (მარცხნივ) რევაზ არველაძემ ნაკრებში დააბრუნა

# არველაძის სიფთა

12 თებერვალი ის დღეა, ალექსანდრე ჩივაძე და მისი დამოძღვრილი ეროვნული ნაკრები ერთხელაც რომ გადაეყრება მოლდოვას, ოღონდ ამხანაგურად. მატჩი, სავარაუდოდ, „ლოკომოტივის" სტადიონზე გაიმართება 15 საათზე.

იმავე დღეს, სამი საათით ადრე კი „ეროვნულზე" რევაზ არველაძის დებიუტია — მისი გაწვრთნილი ახალგაზრდული ნაკრები პირველ შეხვედრას მოლდოველ თანატოლებთან ითამაშებს.

არველაძემ საამხანაგოდ 22 ფეხბურთელს უხმო. *მეკარეები: ლევან მამალაძე („დინამო"), მანუჩარ ივარდავა („ლოკომოტივი"); მცველები: ლაშა სალუქვაძე, სერგო ორბელაძე (ორივე „ლოკომოტივი"); ილია კანდელაკი, ოთარ ხიზანეიშვილი (ორივე „დინამო"), ედიკ საჯაია („ტორპედო", მოსკოვი); ნახევარმცველები: ლაშა რეხვიაშვილი („რუხი", პოლონეთი"), გიორგი დეკანოსიძე („ფიურტი", გერმანია), გაგა ონიანი, მურთაზ ბურნაძე, დავით სირაძე (სამივე „ლოკომოტივი"), დავით ქოქიაშვილი („ვიტ ჯორჯია"), გიორგი მანწკავა („დინამო"), თენგიზ უგრეხელიძე („ნივა", უკრაინა), მალხაზ ასათიანი, რომან ახალკაცი (ორივე „ტორპედო"); თავდამსხმელები: გიორგი ადამია („ვიტ ჯორჯია"), ლადო ახალაია, მიხეილ ბობოხიძე, ირაკლი სამხარაძე (სამივე „დინამო"), ირაკლი მოდებაძე („მეტალურგი", ზაპოროჟიე, უკრაინა).*

ოლიმპიურ ნაკრებს მწვრთნელის გარდა ორი დებიუტანტიც ჰყავს — ლაშა რეხვიაშვილი და დავით ქოქიაშვილი.

**დავით თაგართქილაძე**



თემურ ტულუში ერთი წლით „ფაზისს" შეეკედლა, გელა ფანჩულიძე კი „კოლხეთს" ემალება



ბადრი კეთილაძის ფოტოები

# ტულუში-პოლხ-ერთი
## ფილიამ მეკარე ბორჯომში იპოვა, ფორვარდებზე ფიქრობს

ფოთის „კოლხეთი" 26 იანვარს „ბათუმთან" საკონტროლო მატჩს ითამაშებს, მეორე დღეს სოსო ფილია გუნდს დაასვენებს, ხოლო 28 იანვარს ბულგარული ნესებრის გზაზე დაადგება.

კოლხთა თავკაცს თითქოს ყველა ყოფითი პრობლემა აქვს მოგვარებული, მაგრამ გუნდის დაკომპლექტება ჯერაც არ დასრულებულა. ფილიამ ბათუმელ თემურ ტულუშთან მოლაპარაკება მისთვის სასიკეთოდ ჩაამთავრა და ერთწლიანი ხელშეკრულებაც გაფორმდა. ტულუში დღიდან გუნდთან ერთად ივარჯიშებსო, გვითხრა გუშინ ფილიამ.

„კოლხეთიდან" და საერთოდ ფეხბურთიდან წავიდა ვეტერანი მეკარე მამუკა გვასალია, ვისაც „ფაზისზე" 18 წლიდან ერთგულად უმსახურია და კლუბიც კარგ სამუშაოზე მოწყობას ჰპირდება. მის სანაცვლოდ მწვრთნელმა ზესტაფონის „მეტალურგის" ბორჯომელ გოლკიპერს, ავთანდილ ლაბაძეს უხმო, რომელსაც ბიძინა ჩემიასთან ერთად კოლხთა კარის დაცვა ანდობს.

გუშინ „ფაზისზე" დაბრუნდა შემტევი ნახევარმცველი ვალერი გაგუა, რომელიც კვიპროსში მოწყობას აპირებდა, მაგრამ წასვლა სამი თვით გადაიფიქრა. ფილიას ფორვარდ ბორის გოჩიჩაძის დაბრუნების იმედიც არ დაუკარგავს, რომელსაც ფოთში თვის ბოლოს ელის, თუმცა სათადარიგო ვარიანტზეც ფიქრობს და ორ თავდამსხმელთან აწარმოებს მოლაპარაკებას. მათი ვინაობა მწვრთნელმა არ გაგვიმხილა, ის კი გვითხრა, 23 და 25 წლის ფეხბურთელები არიანო.

ფოთში ჯერაც არ გამოჩენილან „კოლხეთის" გამოცდილი შუახაზელები — ელდარ გვასალია და გელა ფანჩულიძე. მათ კონტრაქტის ვადა ამოეწურათ და საშემოდგომო ეტაპის დასრულების შემდეგ კლუბის ხელმძღვანელებისთვის არც არაფერი შეუტყობინებიათ.

სოსო ფილიამ „კოლხეთში" სათამაშოდ რამდენიმე ფარმკლუბელიც შეარჩია. მწვრთნელის თქმით, ორ ახალგაზრდას, მცველ ჯოლიასა და შუახაზელ გოჩალეიშვილისთვის ფეხბურთის სათამაშოდ ნიჭიც მიუმადლებია განგებას და ფიზიკური შესაძლებლობაც. არ არის გამორიცხული, ისინი ძირითადში წლეულსვე იხილოთო.

**მამუკა ძგანტალიანი**



გოგა გახოკიძემ ანთალიაში თურქებს თავი მოაწონა

ბადრი კეთილაძის ფოტო

# ჰიდინკმა გახოკიძის მენეჯერობა იკისრა
## გოგას თურქები მოუმრავლდნენ

*ჰოლანდიური პსვ-ის ქართველ ნახევარმცველ გოგა გახოკიძეს ამ კლუბთან ხუთი წლის წინ გაფორმებული კონტრაქტი მიმდინარე სეზონის დასრულებისთანავე უმთავრდება, თუმც ფეხბურთელსაც და კლუბსაც, ადრეც თქმულა, ერთმანეთთან განშორება იქამდე სურთ. თუ გახოკიძემ პსვ ზაფხულამდე დატოვა, კლუბი მის სანაცვლო თანხას მიიღებს, ფეხბურთელს კი საშუალება ექნება, სათადარიგოთა სკამს მოშორდეს და სხვაგან ითამაშოს — პსვ-ის მწვრთნელი გუს ჰიდინკი ხომ ქართველს რა ხანია, არ სწალობს.*

*ჰოლანდიელებმა, რომლებიც ქვეყნის ჩემპიონატს ლიდერობენ, მეორე წრისთვის მოსამზადებელი ერთ-ერთი ეტაპი თურქულ ანთალიაში ორიოდ დღის წინ დაამთავრეს, სადაც „პილსენის" თასის გათამაშებაში მონაწილეობდნენ. გახოკიძემ ტურნირის ორ შეხვედრაში ითამაშა — „ფენერბაჰჩესთან" და „ჰერტასთან". ჩვენი ჰოლანდიელი კოლეგების თქმით, თურქებთან გახოკიძე ერთ-ერთი გამორჩეული ყოფილა მოედანზე, გერმანელებთან კი ჰიდინკმა ქართველი შეცვლაზე ათამაშა. ანგარიში 2:2 იყო და მატჩის დამთავრებას სამი წუთი აკლდა, როცა გოგამ იყოჩაღა და პსვ-ს გაამარჯვებინა*

— ანთალიაში ჩასულს სამი დღე არ მივარჯიშია. კისრის ძარღვები დაჭიმული მქონდა — გვითხრა გოგა გახოკიძემ, როცა ეინდჰოვენში დავუკავშირდით — ფაქტობრივად, მოუმზადებელი გამოჯანმრთელებიდან მესამე დღეს ჰიდინკმა რატომღაც „ფენერბაჰჩესთან" მათამაშა. ვფიქრობ, ურიგო შთაბეჭდილება არ დამიტოვებია, რამდენიმე საგოლე მომენტი ჩემი პასების შემდეგ შეიქმნა, ნამატჩევს მწვრთნელმაც შემაქო. ამის შემდეგ „ჰერტას" შევხვდით, სულ 10 წუთი ვითამაშე და გოლის გატანაც მოვახერხე.

**— გავიგე რომ სწორედ „ფენერბაჰჩე" ყოფილა შენი გადაბირებით დაინტერესებული...**

— კი, მართალია და ჰიდინკმა, მგონი, ამიტომაც მათამაშა. „ფენერბაჰჩეზე" ლაპარაკი უკვე ერთი თვეა გრძელდება. ვიცი, რომ თურქებს სურთ, მათთან გადავიდე, მაგრამ დღემდე კონკრეტული არავის არაფერი შემოუთავაზებია და მოლაპარაკებას მე ხომ არ წამოვიწყებ.

**— შენით „ფენერბაჰჩეს" გარდა არავინ დაინტერესებულა?**

— სწორედ ახლა, ერთი საათის წინ, აგენტი დამიკავშირდა და ექვსი თვით თურქეთის ერთ-ერთი გუნდი შემომთავაზა. წინადადებისგან შორს დავიჭირე. ერთი, რომ გუნდის დონემ არ დამაკმაყოფილა და მეორე, ექვსი თვე მიჯობს პსვ-ში დავრჩე და უფრო ნორმალურ ვარიანტს დაველოდო.

**— არ გსურს, პსვ-ს ახლავე გაეცალო?**

— როგორ არა, მაგრამ ხომ გააჩნია, სად ვითამაშებ. თუ 31 იანვრამდე სხვა ქვეყნის გუნდში გადასვლა ვერ მოვახერხე, ჰოლანდიაში სატრანსფერო პერიოდი თებერვალშიც გრძელდება და ვიმედოვნებ, აქაური კლუბებიდან მივიღებ კონკრეტულ წინადადებას, და სეზონს აქ ჩავამთავრებ.

**— გუნდიდან წასვლის თაობაზე ჰიდინკს ესაუბრე?**

— ის წინააღმდეგი არაა და მპირდება კიდეც, სასურველი გუნდის ძიებაში ჩვენც დაგეხმარებითო. პსვ-ის ხელმძღვანელობა კონტრაქტს არ მიგრძელებს და არც თავად მაქვს ამის სურვილი. ჩემს გარდა სეზონის ბოლოს კონტრაქტი ერთბაშად ოთხ ფეხბურთელს უმთავრდება. მათ შორის ერთ-ერთ ლიდერ ბრუგინკს, თუმც გუნდი ყველასთან განშორებას აპირებს. ჰიდინკს ახალ-ახალი ფეხბურთელები მოჰყავს. ამას წინათ, ორი კორეელი ჩამოიყვანა, მოიწვია რამდენიმე ახალგაზრდა ბიჭი და ახალი გუნდის გაკეთებას შეუდგა. მწვრთნელი გამოცდილებს ერთი ხელის მოსმით ვერ შეელევა, მაგრამ რეგულარულად, მგონი, არც ერთს ათამაშებს.

**— მათ შორის გახოკიძესაც...**

— მარცხენა ჰავბეკად ჰიდინკს 22 წლის ჰოლანდიელი რობინი ეგულება და ის თამაშობს-ხოლმე ხშირად. ანთალიაში ამის თაობაზეც ვკითხე მწვრთნელს, თუმც მისგან დასაიმედებელი პასუხი ვერ მივიღე, მითხრა, ვნახოთ, თუ გუნდს დასჭირდება, რა თქმა უნდა, გათამაშებო.

**— გაქვს იმედი, რომ პსვ-ს ამ ერთ კვირაში დატოვებ?**

— იმედი კი მაქვს, მაგრამ... თუ ნორმალურმა გუნდმა მიმიწვია, რაზეც აგენტი მუშაობს, პსვ-დან დაუფიქრებლად წავალ.

**ძოზა ინასარიძე**

# მამუკა გვასალია: კარიდან ექიმებმა გამომაგდეს

*თვრამეტწლიანი საფეხბურთო კარიერის შემდეგ ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთმა საუკეთესო მეკარემ, 35 წლის მამუკა გვასალიამ ბუცები და ხელთათმანი თაროზე შემოაწყო.*

*გვასალია 17 წლისა ჩაირიცხა ფოთის „კოლხეთში" და მშობლიური გუნდი არასდროს მიუტოვებია. მის ზურგზე არაერთი მატჩის სიმძიმეს გადაუვლია, ფეხბურთიდან წასვლა ადრეც გადაუწყვეტია, მაგრამ მერე ისევ მიბრუნებულა. თამაში კიდევ შეეძლო, მაგრამ ტრავმამ და ტკივილებმა თავისი გაიტანა, მამუკამ ნაახალწლევს პირველად უგანა „კოლხეთს".*

*ის უკვე ყოფილი მეკარეა, უფეხბურთობასაც ეჩვევა, დანარჩენს კი თავად მოგახსენებთ ეროვნულ ჩემპიონატში 190 მატჩის ჩამტარებელი ვეტერანი.*

— წასვლა ადრეც დამიპირებია, მაგრამ წინა სეზონის დასაწყისში „კოლხეთს" ძირითადი მეკარე დაუშავდა და უკვე პენსიაზე გასულს სოსო ფილიამ შინ მომაკითხა. ხერხემალი მაშინაც მაწუხებდა, თუმც მწვრთნელისთვის უარი არ მიკადრებია. ისევ კარში ჩავდექი. ერთი ხანობა, ტკივილებიც დამიამდა და გავიფიქრე, ორიოდ წელიწადს კიდევ ვითამაშებ-მეთქი, მაგრამ ზამთრის პირზე ძველმა ტრავმამ თავი შემახსენა. თბილისში ექიმებს მივადექი, მათ ფეხბურთის თამაში ამიკრძალეს, სერიოზული მკურნალობა გჭირდებაო. კლუბმა გამამხნევა, ახალ სამუშაოსაც შემპირდნენ და მკურნალობის ხარჯის ანაზღაურებასაც. სხვა გზა არ იყო, ახალ ყოფას უნდა შევგუებოდი.

**— ეროვნულ ჩემპიონატში ჩატარებული მატჩებიდან ყველაზე ტკბილად მოსაგონარი რომელი იყო?**

— კარიერის მანძილზე ბევრი სიხარული განმიცდია, სიამაყის გრძნობითაც არაერთხელ აღვსილვარ, მაგრამ 1990 წლის 30 მარტს ჩემი გონებიდან ვერაფერი წაშლის. „ეროვნულზე" ეროვნულ ჩემპიონატს დაედო სათავე. ტრიბუნებზე შეფუცნილი 100 ათასი ქომაგი „იბერიას" და „კოლხეთს" თანაბრად ამხნევებდა. ჩვენ ის მატჩი მოვიგეთ და სიტყვებით ვერ გადმოგცემთ იმ სიხარულს, ჩემს გულში რომ ტრიალებდა.

**— ახლა უკვე ვეტერანს გული რაზე გწყდებათ?**

— სულ იმის ნატვრაში ვარ, ნეტავ, კარიერას ახლა ვიწყებდე, ისევ 17 წლისა ვიყო-მეთქი. ვარჯიში არასდროს დამზარებია, არც რეჟიმის დარღვევა მჩვეოდა, უბრალოდ, მწვრთნელის ხელი მაკლდა. ეს ახლაა, ყველა გუნდს მეკარის მწვრთნელი რომ ჰყავს, თორემ ადრე ინდივიდუალურად ვცოდვილობდით მეც და კოლეგებიც. მაშინაც დღევანდელი ვითარება რომ ყოფილიყო, აუცილებლად მაღალ დონეზე ვითამაშებდი.

**— თანამედროვე ქართველი მეკარეებიდან ვის გამოარჩევდით?**

— ეროვნული ჩემპიონატის დაწყების დღიდან ნიჭით, მონაცემებით და გაქანებით საქართველოს კაკო ღევაძის დარი მეკარე არ ჰყოლია. სამწუხაროდ, მან შესაძლებლობების ნახევარიც ვერ გამოავლინა. სადღეისოდ კარგები არიან „ლოკომოტივის" გიორგი ლომაია, დინამოელი დავით გვარამაძე, ირაკლი ზოიძეს კიდევ რამდენიმე წელიწადს შეუძლია თამაში. კარგი მეკარეები სხვებიც არიან, მაგრამ, ჩემი აზრით, მაღალ დონეზე თამაში ზურაბ მამალაძეს შეუძლია. მას მეკარისთვის ყველა თვისება და მონაცემები გააჩნია, მხოლოდ შრომა მართებს და გამოცდილება სჭირდება.

**— უფეხბურთოდ არ გაგიჭირდებათ?**

— უკვე მოედანზე გასვლაც კი მენატრება. კლუბი შემპირდა, ახალ სამსახურს ან პორტში გამოგინახავთ, ან



ბადრი კეთილაძის ფოტო

გუნდშიო. ჯერ გადაწყვეტილება არ მიმიღია. ოჯახზეც უნდა ვიფიქრო და უფეხბურთოდაც ვერ გავძლებ. ალბათ, ისევ კლუბში მოვეწყობი, ყოველდღე ბურთთან ახლოს რომ ვიყო.

**მამუკა ძგანტალიანი**

# ქართველ მემარცხენეს გერმანიაშიც გაუდის

## დეკანოსიძე ფიურტში ჩაჯდა და მიდის

**ხვალ** გერმანული მეორე ბუნდესლიგა განახლდება და ორიოდ სიტყვით „ქართულ“ გუნდთა სამზადისზე ვთქვათ.

წარმატებულ თამაშს აგრძელებს გიორგი დეკანოსიძე. სამწუხაროა, რომ მას დღემდე თავის გამოჩენა ძირითადად მხოლოდ ამხანაგურ მატჩებში უწევს, თუმც, როგორც ჩანს, ამას მალე მოეღება ბოლო. მთავარი მწვრთნელი ეუგენ ჰახი ყველა მატჩში აძლევს შეგირდებს თამაშის საშუალებას. გამონაკლისი არც ქართველი ნახევარმცველია. დეკანოსიძემ ბოლო სამ მატჩში თითო ტაიმი გაატარა მოედანზე და საგოლე პასებთან ერთად, ერთი გოლიც მიითვალა. „ფიურტი“ ჯერ ბუნდესლიგელ „კაიზერსლაუტერნს“ დაუზავდა 1:1, მერე კი „უნტერჰახინგთან“ დათმო 2:3. არადა, ჰახის შეგირდები პირველ ტაიმში 2:0-ს იგებდნენ. მეორე გოლი კი სწორედ გიორგი დეკანოსიძემ გაიტანა. მეორე ტაიმში მწვრთნელმა სხვა თერთმეტეული შეუშვა მოედანზე და „უნტერჰახინგმაც“ გარდატეხის შეტანა შეძლო. საბოლოოდ, როგორც ზემოთ გითხარით, „ფიურტი“ 2:3 დამარცხდა.

მოსამზადებელი ეტაპის ბოლო მატჩში კი „ფიურტმა“ 5:3 დაამარცხა „შვაინფურტი“. დეკანოსიძემ აქაც მეორე 45 წუთი ითამაშა.

მიუხედავად ამისა, ჩვენებურის „ფიურტში“ დარჩენა ჯერაც არაა გადაწყვეტილი. დეკანოსიძეს სათადარიგოთა სკამზე ჯდომა მობეზრებია და ხელმძღვანელობას დროებით სხვა კლუბში განათხოვრებას სთხოვს. გუშინ გიორგი დეკანოსიძეს გერმანიაში დავუკავშირდით:

— ყველაფერი ნორმალურადაა. ყველა საკონტროლო მატჩი ვითამაშე და ორი გოლიც გავიტანე. ახლაც ვარჯიშს ვაგრძელებთ და 26 იანვარს „დუისბურგთან“ მატჩისთვის ვემზადებით.

**— „ზანკტ პაულთან“ გოლი ჯარიმიდან გაიტანე. სტანდარტული მდგომარეობების შესრულება, ალბათ, მწვრთნელმა დაგავალა...**

— სტანდარტულებს, თუკი მარცხენა ფეხით იყო დასარტყმელი, ადრეც ვასრულებდი. სიტუაცია არც ამჯერად შეცვლილა. კუთხურებს და საჯარიმოებს მე ვაწოდებ.

**— თბილისში ყოფნისას თქვი, „ფიურტის“ დატოვებას ვაპირებო. ახლა, ალბათ, აზრი შეიცვალე...**

— არა, ეს საკითხი ჯერაც არ გადაწყვეტილა. ამ დღეებში მთავარ მწვრთნელს შევხვდები და თუ არ ვჭირდები, ვეცდები, რომელიმე სხვა გუნდში იჯარით გადავიდე.

**— კი მაგრამ, სადაცაა სეზონი განახლდება...**

— არა უშავს. სამაგიეროდ, სატრანსფერო ფანჯარა 31 იანვრამდე ღიაა. მეტს ვერაფერს გეტყვით. დანარჩენი ჰახთან მოლაპარაკების მერე მეცოდინება.

მარცხით დაასრულა მოსამზადებელი ეტაპი „ფრაიბურგმა“. ბუნდესლიგის საგზურისთვის მებრძოლი ფრაიბურგელები ბოლო ტესტ-მატჩში შვეიცარიულ „ციურიხს“ შეხვდნენ და 0:1 დამარცხდნენ. შვეიცარიელთა წინააღმდეგ სამივე ჩვენებურმა ითამაშა — ლევან კობიაშვილი პირველი ტაიმის მერე შეცვალეს, ლევან ცქიტიშვილმა და ალექსანდრე იაშვილმა კი მატჩი სრულად ჩაატარეს.

მანამდე ფოლკერ ფინკეს საწყსომ 1:0 სძლია თანალიგელ „როიტლინგენს“. ამ შეხვედრაში ჩვენებურთაგან მხოლოდ ლევან კობიაშვილმა ითამაშა. მეორე წრის პირველ ტურში „ფრაიბურგი“ 27 იანვარს „ალემანიას“ უმასპინძლებს.

**ქახა შალამბერიძე**



გიორგი დეკანოსიძე



# ხიზანიშვილმა დაფის თვალი აუხილა

**შოტლანდიური „დანდი“**, სადაც საქართველოს ნაკრების ფეხბურთელები გიორგი ნემსაძე და ზურაბ ხიზანიშვილი თამაშობენ, ტრინიდადი და ტობაგოდან შინ გუშინწინ დაბრუნდა და ჩემპიონატისთვის მზადებას ხვალიდან ჩვეულებრივი რეჟიმით განაგრძობს. „დანდი“ ოკეანეთში 10-დღიან მოსამზადებელ შეკრებაზე იყო, მასპინძელ გუნდებთან ორი ამხანაგური მატჩიც გამართა და ორჯერვე 0:3 და 1:2 დამარცხდა. ცხადია, საჩემპიონატო სამზადისისას შედეგი ნაკლებმნიშვნელოვანია, მწვრთნელთა ყურადღება უფრო შინაური სამზარეულოსკენაა მიპყრობილი, ტრინიდად-ტობაგოშიც „დანდის“ მწვრთნელ ჯიმ დაფის ბევრი ექსპერიმენტი ჩაუტარებია.

შეკრებისას დაფი ალბათ საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ზურაბ ხიზანიშვილს მომავალი სეზონისთვის ვეღარ შეინარჩუნებს და ჩვენებური ძირითად შემადგენლობას დაუბრუნა. ვერ ვიტყვით, რომ ჩემპიონატშიც ასე იქნება, თუმც ზურას დაფისგან ბლომად კომპლიმენტები დაუმსახურებია და უკეთესი მომავლის იმედიც გაუჩნდა.

— შეკრებისას მწვრთნელმა სასაუბროდ დამიბარა — გვითხრა ზურამ — მას და გუნდის ხელმძღვანელებს დიდი სურვილი აქვთ, რომ კონტრაქტი, რომელიც „დინდისთან“ სეზონის ბოლოს მიმთავრდება, კიდევ გავაგრძელო. ალბათ, იცით, ამის თაობაზე უკვე რა ხანია, ჩემსა და კლუბს შორის მოლაპარაკება მიმდინარეობს. დაფისთან შეხვედრისას კიდევ ერთხელ ვთქვი, რომ კონტრაქტს არ გავაგრძელებ. მწვრთნელმა აქიდან მოძიარა, იქიდან, მაგრამ დამაკმაყოფილებელი პასუხი მაინც ვერ მიიღო, ვფიქრობ, ისიც და „დანდის“ ხელმძღვანელებიც დარწმუნდნენ, რომ მომავალს აქ ვეღარ ვხედავ და ჩემსკენაც სხვა თვალით გამოიხედეს. დაფიმ ტრინიდად-ტობაგოში ორი მატჩიდან ერთში თავიდან ბოლომდე მათამაშა და როგორც მითხრა, კმაყოფილი დარჩა. მწვრთნელი ბოლო დროს ბავშურად მექცეოდა, კონტრაქტის გაგრძელებაზე უარი რომ ვთქვი, თავისებურად სამაგიეროს მიხდიდა, თუმც ჩემპიონატი როცა განახლდება, მგონი, დამოკიდებულებას შეცვლის, ეს მან უკვე მაგრძნობინა.

ზურა ხიზანიშვილის შოტლანდიურ „დანდიში“ თამაშ-ართამაშზე მეტად აქტუალური კი მისი სხვა გუნდში გადასვლის პერსპექტივაა. „არსენალი“, „რეინჯერსი“, „ინტერი“, გერმანული კლუბები ქართველი მცველით დაინტერესებულნი კარგა ხანია არიან, მაგრამ...

— ეტყობა, გუნდებმა, რომლებსაც ჩემი შეძენა სურდათ, ვეღარ გარისკეს, ტრავმირებული და რამდენიმე თვის უთამაშებელი ფეხბურთელის აყვანა ვერ გაბედეს. ჯერჯერობით კი ახალი არაფერია, არავინ დამკავშირებია. ამ ერთ კვირაში არა მგონია, რაიმე გაირკვეს და „დანდიდან“ წავიდე. ყოველ შემთხვევაში, ამის იმედი ნაკლებად მაქვს. სეზონს აქვე ჩავამთავრებ და მერე... მერე „დანდი“ ჩემს სანაცვლოდ გადასახდელ საკომპენსაციო თანხას მიიღებს.

**კობა ინასარიძე**

# ვოლენს გოლი უნდა, ხომერიკს თამაში

## ლევანს აგენტმა ახალი გუნდი აცნობა

**პირველ წრეში** უთამაშებლობით გატანჯული ლევან ხომერიკი ახალ წელს მეტად უხასიათოდ შეხვდა — შვეიცარიის ჩემპიონატის პირველი ნახევრის ბოლოს „აარაუს“ ქართველი თავდამსხმელი საოპერაციო შეიქნა. ქირურგიულმა ჩარევამ წარმატებით ჩაიარა. ხომერიკმა მუხლი სრულად მოირჩინა და ახლა უკვე მთელი დატვირთვით ვარჯიშობს. ეგ კი არა, შესაძლოა, დიდი ხნის წადილი აისრულოს და „აარაუს“ გაშორდეს.

გუშინ ლევან ხომერიკს შვეიცარიაში დავუკავშირდით და სამომავლო გეგმებზე ვესაუბრეთ.

— საბედნიეროდ, ტრავმა ბოლომდე მოვირჩინე და ახლა სრული დატვირთვით ვვარჯიშობ. მუხლი იშვიათად კი მახსენებს თავს, მაგრამ, რაც მთავარია, ტკივილები აღარ მაწუხებს.

...„აარაუსთან“ პრობლემები ჯერაც არ მომიგვარებია. სარეზერვო გუნდში თამაში ნაღდად არ მხიბლავს. ასე რომ, დიდი შანსია, კლუბი მალე დავტოვო. ახლახან ჩემს მენეჯერს ვესაუბრე და შემპირდა, ყველაფერს გავაკეთებ და ტრანსფერს გაგიჩარხავო. როგორც გავიგე, ჩემით შვეიცარიული B ჯგუფის „ვოლენია“ დაინტერესებული. ეს კლუბის მწვრთნელს თავად უთქვამს. საწინააღმდეგო არც მე მაქვს. კარგი იქნება, თუ ამ კლუბში გაისამდე მაინც ვითამაშებ, მერე კი „აარაუსთან“ კონტრაქტიც მიმთავრდება. ახლა მთავარია, კლუბები შეთანხმდნენ.

...ეს ტრანსფერი თუ არ შედგა, სხვა ვარიანტებსაც დაველოდები. ყველაზე ცუდ შემთხვევაში, ალბათ, ისევ „აარაუში“ დავრჩები სეზონის ბოლომდე. მალე სარეზერვო გუნდიც ესპანეთში მიდის შეკრებაზე და თუ მანამდე ჩემი საკითხი არ გაირკვა, ალბათ გავყვები“.

ჩვენ კი გეტყვით, რომ ლევან ხომერიკის მსურველი „ვოლენი“ შვეიცარიის ჩემპიონატის B ჯგუფში ბოლოსწინა, მეთერთმეტე ადგილზეა და თანაც ლიგაში ყველაზე ნაკლები გოლი აქვს გატანილი. ამგვარად, „ვოლენს“ მეგოლე სჭირდება და, ცხადია, ქართველი თავდამსხმელიც იმიტომ შეუგულებია.

**ქახა შალამბერიძე**



ლევან ხომერიკი

# გერმანელებმა გოცირიძე უკითხავად მიითვისეს

„მეორე ბუნდესლიგურმა მანჰეიმის „ვალდჰოფმა“ სერიოზული დაკვირვებისა და გასინჯვის შემდეგ გუნდში ორი ახალწვეული, 28 წლის შვედი ეროლ ბეკირი და 21 წლის ქართველი რევაზ გოცირიძე აიყვანა. კლუბი ახალწვეულებს, სავარაუდოდ, 2004 წლამდე დაისაკუთრებს“ — პოპულარულ გერმანულ გამოცემა „კიკერის“ ვებ-გვერდზე ეს ინფორმაცია გუშინ გაჩნდა.

ფორვარდი რევაზ გოცირიძე კონტრაქტით დღემდე ვეტერინარებს ეკუთვნის. თავის დროზე ახალგაზრდულ ნაკრებში, „დინამო 2“-ში, „ვიტ ჯორჯიასა“ და თსუ-ში უთამაშია. მეთოთხმეტე ეროვნულის საშემოდგომო ეტაპზე კი რუსთავის „გორდაში“ იყო განათხოვრებული.

ვეტერინარული კლუბის თავკაცებს გოცირიძის გერმანული კარიერის საწინააღმდეგო აბა, რა უნდა ჰქონდეთ, მაგრამ პრობლემა მაინც არსებობს. „ვიტ ჯორჯიას“ პრეზიდენტ გურამ რუხაძის თქმით, გოცირიძის ტრანსფერის შესახებ მას არავინ შეხმიანებია, კლუბის ინტერესების უგულებელყოფით კი ფეხბურთელს ვერავინ წაიყვანს.

ეს მცირე პრობლემა, ალბათ, ორიოდ დღეში მოგვარდება, მანამდე კი იმას შეგახსენებთ, რომ მანჰეიმის „ვალდჰოფი“ გასულ სეზონში ბუნდესლიგაში გადასასვლელად იბრძოდა, წლეულს კი თავს ღილად ვერაფრით მოიწონებს.

**მამუკა ქვანტალიანი**

*მომავალ უქმეებზე „ბარსელონა" ვიგოში ეთამაშება „სელტას", მომდევნო ტურში კი მადრიდში „ატლეტიკოს" ესტუმრება. მეტოქეები რომ ხელწამოსაკრავები არ არიან, მტკიცება რად უნდა და, ამის გამო საფიქრებელია, რომ ლუის ვან გაალი „ბარსას" მწვრთნელის პოსტზე ბოლო დღეებს ითვლის — მოგეხსენებათ, ჰოლანდიელს უკანასკნელი შანსი მისცეს და გუნდმა კვლავ ისე თუ ითამაშა, როგორც „ვალენსიასთან", ველარაფერი უშველის.*

*ჰოდა, ცხადია, ახალი კანდიდატები ახლავეა მოსაძებნი. გუშინ ვწერდით, კატალონიაში გამორჩეულად რადომირ ანტიჩსა და ალბერტო ძაკერონიზე საუბრობენ-თქო. ისე როგორ იქნებოდა, იქაური ჟურნალისტები ამ სპეციალისტებს არ შეხმიანებოდნენ და კომენტარი არ ეთხოვათ.*

# ამათაც ვკითხოთ

## ძაკერონიმ სტილისტურად სწორად ილაპარაკა, ანტიჩი კი კორექტულად მოიქცა



ალბერტო ძაკერონი გაიშიფრა, რადომირ ანტიჩმა კი სურვილი დამალა



**რადიოსადგურ** COM RADIO-სთან საუბარში „მილანისა" და „ლაციოს" ყოფილი დამრიგებელი ცოტა არ იყოს, ფრთხილობდა, კლუბის ხელმძღვანელობისთვის საკუთარი სამსახურის პირდაპირ შეთავაზებას ერიდებოდა, მაგრამ ისე ილაპარაკა, მის წადილს ადვილად გამოიცნობთ.

— დიდ გუნდში მუშაობა ნებისმიერი მწვრთნელის ოცნებაა, „ბარსელონა" კი დიდი გუნდია — თქვა ძაკერონიმ — სიმართლე გითხრათ, „ბარსელონას" შეფობასთან კონტაქტი არასდროს მქონია, მხოლოდ ერთხელ გადავულაპარაკეთ რამდენიმე სიტყვა ერთმანეთს მე და ხუან გასპარმა ჩემპიონთა ლიგის მატჩის შემდეგ. „ბარსელონას" თამაშებს ვუყურებ, რადგან სისტემატიურად ვადევნებ თვალს ესპანურ ლიგას. მისი ფეხბურთელებიდან კი პატრიკ კლუივერტს და გაისკა მენდიეტას ძალიან კარგად ვიცნობ „მილანში" და „ლაციოში" მუშაობის დროიდან. ზუსტად ვერ გეტყვით, რა არის „ბარსელონას" კრიზისის მიზეზი, გუნდის სამზარეულოში ჩახედული არ ვარ, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, „ბარსა" დღესაც დიდი გუნდია.

ამის მერე ძაკერონიმ ილაპარაკა, თუ როგორ ემთხვევა მისი ფილოსოფია „ბარსას" თამაშის ტრადიციულ სტილს.

— იტალიური ფეხბურთი მეტისმეტად ჩაკეტილია, მაგრამ ჩემი შეხედულება ფეხბურთზე პრინციპულად განსხვავდება ამ ეროვნული თვისებიდან. სხვათა შორის, „მილანი" ჩემით მას მერე დაინტერესდა, როცა დაინახა, რომ „უდინეზეს" შემტევ ფეხბურთს ვათამაშებდი. მე შეტევა უფრო მომწონს, ვიდრე დაცვა, თუმცა ცხადია, ბალანსის დაცვა აუცილებელია.

რადომირ ანტიჩს კი ჟურნალისტებმა კურორტ მარბელაზე მიაგნეს, სადაც სერბი ოჯახთან ერთად ისვენებს. თავის დროზე „ატლეტიკოს" გამჩემპიონებელმა გაიოცა, წარმოდგენა არ მაქვს, ჩემს სახელს ასე ხშირად რატომ ახსენებენ, „ბარსელონადან" ჯერჯერობით არავინ შემხმიანებიაო.

პირად სურვილზე ლაპარაკი კი ანტიჩმა იუარა, ლუის ვან გაალის მიმართ არაკორექტულია ასეთ საკითხებზე საუბარიო: „სათქმელი არაფერი მაქვს, თუ კლუბი ჩემით დაინტერესებელია, პირველი ნაბიჯი თავად უნდა გადმოდგას".

**გიორგი დარჯანია**

# პრეზიდენტმა კაბინეტი მოედანზე მოიწყო

**სანტანდერის** „რასინგს" რომ ახალი პრეზიდენტი ჰყავს, ადრეც მოგახსენეთ. ამ კაცზე, დიმიტრი პიტერმანზე კიდევ ის შეგვიძლია ვთქვათ, რომ უკრაინაშია დაბადებული, მერე ამერიკაში წავიდა, ბიზნესს მიჰყო ხელი, ფული იშოვა და ახლა ფეხბურთში აბანდებს. მისი საკუთრებაა ესპანეთის მესამე დივიზიონის კლუბი „პალამოსი", ხოლო ახლა „რასინგის" აქციათა საკონტროლო პაკეტი იყიდა და პრეზიდენტის სავარძელში მოკალათდა.

გაპრეზიდენტებისას პიტერმანმა თქვა, კლუბში ყველაფერს უცვლელად დავტოვებო, მაგრამ პირველივე მატჩში „რასინგმა" „რეალ ბეტისთან" 0:1 წააგო და პრეზიდენტმა მანოლო პრესიადო მწვრთნელობიდან გადააყენა.

მოგეხსენებათ, მწვრთნელს გადააყენებენ თუ გადმოაყენებენ, გუნდს ვარჯიში სჭირდება და ამ საქმეს ვიღაც უნდა გაუძღვეს. ამასთან დაკავშირებით კლუბის პრესატაშე ალბერტო აპარისიომ განაცხადა: „პრესიადო მწვრთნელი აღარ არის და ჯერჯერობით ვარჯიშებს თავად პრეზიდენტი ატარებს. ოღონდ ეს არ ნიშნავს, რომ პიტერმანმა მწვრთნელად საკუთარი თავი დანიშნა. ვითარება უახლოეს ხანში გაირკვევა".

ბოლოს კი შეგახსენებთ, რომ „რასინგი" პრიმერიდივიზიონში მე-16 ადგილზეა და გასავარდნ ზონას ორი ქულა აშორებს.

**გიორგი დარჯანია**

# ბრაზილიელი ხარ ბიჭო, შენ?

## როჩემბაკის ვიდეოთეკა და მოტას ქალი, რომელიც ბედნიერებას ასხივებს

*ტიაგო მოტა ბოლო ხანს მუდმივად ხვდება „ბარსელონას" სასტარტო შემადგენლობაში, ფაბიო როჩემბაკი — უფრო იშვიათად. ორივენი ბრაზილიელები არიან, მაგრამ ერთმანეთი ბარსელონაში გაიცნეს და დამეგობრდნენ. პირველად რომ შეხვდნენ, არც კი იცოდნენ თანამემამულეები თუ იყვნენ.*

*ქვემოთ მათთან ინტერვიუს გთავაზობთ, რომელიც „ბარსელონას" ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა და ერთიც — ინტერვიუში ბარსელონურ კრიზისზე ერთ სიტყვასაც ვერ ამოიკითხავთ. ეს ინტერვიუ უბრალოდ მათი სავიზიტო ბარათებია.*

**— გახსოვთ თქვენი პირველი შეხვედრა?**

**მოტა:** დიახ. პირველად მავარჯიშეს ძირითად შემადგენლობასთან ერთად და ფაბიოს იქ შევხვდი. არც კი ვიცოდი, ბრაზილიელი თუ იყო. მაშინ რამდენიმე წუთით გამოველაპარაკე, მოგვიანებით კი საუკეთესო მეგობრები გავხდით.

**როჩემბაკი:** როგორ არ მახსოვს, უხეშად ვეთამაშე და გაბრაზდა. მაშინ გავიგე, რომ ბრაზილიელი ყოფილა და თანდათან დავმეგობრდით.

**—თავისუფალ დროს როგორ ატარებთ?**

**მოტა:** შემიძლია მთელი დღე მუსიკას ვუსმინო. ამერიკული, ესპანური, ბრაზილიური — მნიშვნელობა არ აქვს. კიდევ, ძალიან ბევრ ნაყინს ვჭამ.

**როჩემბაკი:** ფილმებს ვუყურებ, ოღონდ კინოში სიარული არ მიყვარს, სახლში, ტელევიზორთან ჯდომა მირჩევნია. თუ საშუალება მაქვს, დღეში სამ-ოთხ ფილმს ვუყურებ. ვიდეოთეკაში სამასი კასეტა მაქვს. მუსიკაც მიყვარს, გამორჩეულად, ბრაზილიური.

**— როგორი ფილმები მოგწონთ?**

**მოტა:** მძაფრსიუჟეტიანი.

**როჩემბაკი:** უფრო კომედიები, ისე კი ყველაფერს ვუყურებ.

**— ვისთან ერთად ცხოვრობთ?**

**მოტა:** ჯერაც მშობლებთან ერთად. როცა მარტო ვრჩები, საოცრად მოწყენილი ვარ ხოლმე. ხოლო როცა სახლში ბევრი ადამიანია, თავს კარგად ვგრძნობ.

**როჩემბაკი:** მარტო ვცხოვრობ, მაგრამ ოჯახის წევრები ხშირად ჩამოდიან და ხანდახან თვეობით რჩებიან.

**— სად სადილობთ?**

**მოტა:** ძირითადად დედაჩემი ამზადებს სადილებს და სახლში ვჭამ, თუ დედა შინ არ არის, მეგობრებთან ერთად რესტორანში მივდივარ. უამრავი მეგობარი მყავს და მათ დიდ ნაწილს ფეხბურთთან საერთოდ არაფერი აკავშირებს.

**როჩემბაკი:** როდის როგორ — ხან სახლში, ხან მეგობრებთან ერთად რესტორანში.

**— რომელი მანქანები მოგწონთ?**

**მოტა:** გამორჩეულად BMW.

**როჩემბაკი:** ზოგადად მანქანები მიყვარს, მაგრამ რომელიმე მარკას ვერ გამოვარჩევ.

**— კარგად ჩაცმის მოყვარული ბრძანდებით?**

**მოტა:** რა თქმა უნდა. მაგრამ რაიმე ერთი სტილი არ მაქვს. უბრალოდ, თუ რამე მომეწონა, ვყიდულობ.

**როჩემბაკი:** მოდის ცვლილებას მუდმივად თვალს ვადევნებ. განსაკუთრებით ვერსაჩეს ტანსაცმელი მომწონს.

**— კომპიუტერზე თამაში გიყვართ?**

**მოტა:** ხანდახან ვთამაშობ, მაგრამ ზოგი მთელი დღეები კომპიუტერს რომ უზის, ეგრე არ ვარ.

**როჩემბაკი:** მე ხშირად ვთამაშობ, სახლშიც და სასტუმროებშიც, როცა მატჩისწინა შეკრებაზე ვართ. ძირითადად კომპიუტერულ ფეხბურთს.

**— სხვა სახეობების საყურებლად თუ დადიხართ?**

**მოტა:** დიახ, ხანდახან. „პალაუ არენაზე" „ბარსელონას" კალათბურთელთა მატჩებს ვუყურებ. ამ გუნდში ჩემი მეგობარი ვარეხაო თამაშობს. ამ ბოლო დროს ხელბურთიც შემიყვარდა.

**როჩემბაკი:** ვარეხაო ჩემი მეგობარიცაა და ტიაგოსთან ერთად დავდივარ კალათბურთზე.

**— ფეხბურთის გარდა რამეს თამაშობთ?**

**მოტა:** კალათბურთს და ფრენბურთს, მაგრამ არცთუ ხშირად და კარგად.

**როჩემბაკი:** თუ დრო მაქვს, ჩოგბურთს ვთამაშობ და ცუდადაც არ გამომდის.

**— სპორტსმენებიდან ვის გამოარჩევდით?**

**მოტა:** მაიკლ ჯორდანი ჩემი კერპია. ბრაზილიაში ხშირად ვუყურებდი მის თამაშს. ბარსელონაში რომ ჩამოვედი, B გუნდის ფიზმომზადების მწვრთნელმა ჯორდანზე წიგნი მომცა და როცა წავიკითხე, კიდევ უფრო შემიყვარდა. ერთხელ კინოშიც წავედი მასზე დოკუმენტური ფილმის სანახავად.

**როჩემბაკი:** რადგან ჩოგბურთის დიდი მოყვარული ვარ, გუსტავო კუერტენს გამოვარჩევ. მას არასდროს შევხვედრივარ, თუმც დიდი სურვილი მაქვს.

**— იდეალური ქალი როგორ წარმოგიდგენიათ?**

**მოტა:** ქალს პირველად რომ დაინახავ, ფიზიკურად უნდა მოგეწონოს, თუმც ურთიერთობის გასაღრმავებლად სხვა თვისებები უნდა ჰქონდეს. ბედნიერებას და სიხარულს უნდა ასხივებდეს.

**როჩემბაკი:** იდეალური ქალი? არ ვიცი. ალბათ, ჭკვიანი.

**— ესპანური სამზარეულო თუ მოგწონთ?**

**მოტა:** წუნია არ ვარ, ყველაფერს ვჭამ. ისე კი ესპანური კერძები მომწონს.

**როჩემბაკი:** გემრიელად ჭამა მიყვარს. ესპანური საჭმელებიც მომწონს და ბრაზილიურიც, გამორჩევით კი დედაჩემის გაკეთებული მიყვარს.

**— ინტერნეტზე რას იტყვით?**

**მოტა:** ინტერნეტში ხშირად დავბოდიალობ.

**როჩემბაკი:** იგივეს ვიტყოდი.

**— 2003 წელს რას ისურვებდით?**

**მოტა:** „ბარსელონასთან" ერთად რამის მოგებას. მთლიანობაში კი, იმას, რომ ყველა ჯანმრთელად იყოს და ომები დამთავრდეს.

**როჩემბაკი:** შარშან „ბარსელონამ" ვერაფერი მოიგო. იმედი მაქვს, 2003 წელი კლუბისთვის უფრო წარმატებული იქნება.



ფაბიო როჩემბაკი



ტიაგო მოტა

# სან მარკოს ლონდონური ვნებანი...

## დევიდ სიმენის კარს მსოფლიოს ჩემპიონს შეგზადებენ



*მსოფლიოს ჩემპიონი მეკარე, ბრაზილიელი მარკოსი „პალმეირასის" წევრია, თუმცა არ არის გამორიცხული, ერთი ხნის შემდეგ ლონდონის „არსენალის" კარი დაიცვას. ბევრი რამ ჯერ ბუნდოვანია, მაგრამ ერთი კი ფაქტია — რომ „პალმეირასის" ხელმძღვანელობამ მას ინგლისში გაფრენის და მოლაპარაკების ნება დართო.*



„მარკოსს ლონდონში გამგზავრების და „არსენალის" წარმომადგენლებთან შეხვედრის ნება მივეცით" — განაცხადა „პალმეირასის" პრეს-ატაშემ მარსიო ტრევისანმა. მან ისიც დასძინა, რომ თუ წასვლაა, მეკარე, ალბათ, ივნისში წავა ახალ გუნდში, ხოლო რატომ მაინცდამაინც ივნისში და არა ახლავე, ასე განმარტა.

„საამისო მიზეზი ორია. პირველი ის გახლავთ, რომ მას არ სურს ლიგიდან გავარდნილი „პალმეირასი" გასაჭირში მიატოვოს. ამბობს, რომ პაულისტას ჩემპიონობისა და ქვეყნის თასის მოპოვება უნდა. მეორე კი ის არის, რომ პრემიერლიგაში ჩაბმა სეზონის დასაწყისიდან სჯობს".

და მაინც, იმავე პრეს-ატაშეს დადასტურებით ყველაფერი „არსენალისა" და „პალმეირასის" გარიგებაზე იქნება დამოკიდებული. კერძოდ, თუ „არსენალს" მარკოსი მაინც და მაინც ახლა მოუნდება, ბრაზილიელებისთვის კომპენსაციის გადახდა მოუწევს. ეს კომპენსაცია თურმე მეკარის „პალმეირასთან" გაფორმებულ კონტრაქტშია ნახსენები. ამ დამატებით გადასახადზე და საერთოდ, მარკოსის ამბავზე „არსენალი" ჯერ არაფერს ამბობს.

„ჯერ ყველაფერი ჭორის დონეზეა და ამიტომ „არსენალი" კომენტარისგან თავს იკავებს. როდესაც გუნდში ახალი ფეხბურთელი მოდის, ყოველთვის ვაკეთებთ ოფიციალურ განცხადებას" — თქვა ლონდონური კლუბის პრეს-ატაშემ.

თუმცა, თავშეკავება თავშეკავებად და ფაქტია, რომ „არსენალი" ინგლისის ნაკრების მთავარი მეკარის, 40 წლის დევიდ სიმენის შემცვლელს ეძებს. თანაც დახეთ, სათადარიგონი, რამი შააბანი და სტიუარტ ტეილორი დაშავდნენ. შააბანი აგვისტოში ჩავიდა ლონდონში, მაგრამ ფეხი მოიტეხა და სეზონის ბოლომდე მისი თამაში გამორიცხულია, ხოლო 22 წლის ტეილორს ხელის თითი აქვს თაბაშირში.

სიმენის სათადარიგოდ 21 წლის გრემ სტეკიც განიხილებოდა, მაგრამ ეს ყმაწვილი ბელგიაში, „ბევერენში" გაანათხოვრეს, ასე რომ, დღეს სიმენს რამე რომ მოუვიდეს, გუნდის კარის დაცვა 18 წლის კრეიგ ჰოლოვეის მოუხდება.

კიდევ ასეთი ამბავია: „არსენალში" თამაშობდა რიჩარდ რაიტი, მაგრამ ეს რაიტი შარშან ივნისში „ევერტონში" გადავიდა, რის სანაცვლოდაც ლონდონელებმა 3,5 მილიონი გირვანქა მიიღეს. შემდეგ იყო ლაპარაკი, რომ ვენგერის გუნდში თურქი რუშთუ ან ახალგაზრდა ფრანგი ნიკოლა პენეტო უნდა მისულიყვნენ, მაგრამ არც ერთი მივიდა და არც მეორე.

და, აი, ახლა 28 წლის მარკოსზე ალაპარაკდნენ. გეხსომებათ, რომ მუნდიალის მეოთხედფინალში, ბრაზილიისა და ინგლისის ნაკრებთა იმ შეხვედრაში, სიმენმა რონალდინიოს ჩაკიდებული ბურთი რომ ყლაპა, გადაღმა კარში სწორედ მარკოსი იდგა.

მაგრამ დაბრუნდა ტრიუმფატორი სამშობლოში, „პალმეირასის" კარში ჩადგა და... მეორე დივიზიონში გავარდა. მერედა, პრესა როგორ აკრიტიკებდა? მარკოსი იძულებული შეიქნა პროტესტის ნიშნად ჟურნალისტებისთვის ინტერვიუებზე უარი ეთქვა. ის კი არა, „პონტე პრეტასთან" მის გამო „პალმეირასის" კარში ორი პენალტი რომ დაინიშნა, გუნდიდან გაგდებაზეც კი დაუწყეს ლაპარაკი.

მუნდიალზე კი, გეხსომებათ, რაც იყო. მარკოსმა შვიდი თამაში ჩაატარა და მათგან ოთხში გოლი არ გაუშვა. რაც შეეხება მის „ვიწრო სპეციალობას", პენალტების მოგერიებას, ამაში კვალიფიკაციის გამომჟღავნების შანსი უბრალოდ არ მიეცა.

მარკოსი იმდენად რელიგიურია, რომ თანაგუნდელები „სან მარკოს" ეძახიან. იგი სულ რაღაც ოთხი წლის წინ, ჯერ კიდევ სათადარიგო გუნდში გამოდიოდა და 1999-ში მხოლოდ მთავარი გოლკიპერის, ველოსოს დაშავებამ გაუხსნა გზა ძირითადი შემადგენლობისკენ. ეს ლიბერტადორესის თასზე მოხდა, სადაც მარკოსმა საუცხოოდ ითამაშა — იმ წელიწადს „პალმეირასი" ფინალში გავიდა.

ლიბერტადორესის თასის ფინალში „პალმეირასი" ამ ამბებიდან ზუსტად ერთი წლის მერეც ვიხილეთ. ფინალისკენ გზად მარკოსმა ორი ეტაპი, როგორც ამბობენ, პირადად, პენალტების სერიაში გამარჯვებით გაიარა, იქ კი არგენტინულ „ბოკა ხუნიორსთან" დამარცხდა.

ნაკრებში შესაძლო ლონდონელი პირველად 1999 წელს, ესპანეთთან შეხვედრაში გამოჩნდა, 2001 წელს, კოლუმბიაში, კოპა ამერიკაზე კი უკვე ეროვნული გუნდის მთავარი მეკარე გახლდათ.

**პაპუნა ძიდია**

# ფარნბორო ომში მიდის

**პატარა ფარნბორო** ლონდონიდან 48 კილომეტრის მოშორებით, სამხრეთ-დასავლეთში მდებარეობს. პატარა ფარნბოროს სამოყვარულო საფეხბურთო გუნდი ჰყავს, რომელიც კონფერენციის ლიგაში თამაშობს. გუნდი შედგებანაირგვარი პროფესიის ბიჭებისა და რამდენიმე დივიზიონში ნათამაშევი პროფესიონალისგან, რომელთა შორის ყველაზე ცნობილი გახლავს მეორე დივიზიონის „ლუთონის" ყოფილი თავდამსხმელი როკი ბაპტისტი.

ამ შაბათს „ფარნბორო" გადის თავისი ისტორიის უმნიშვნელოვანეს მატჩზე „არსენალის" წინაალმდეგ.

ასოციაციის თასის შეხვედრა „ჰაიბერიზე" გაიმართება, სადაც უკვე გაყიდულია სტუმართა ტრიბუნის ექვსიათასივე ბილეთი. ბევრი ფარნბოროელისთვის ეს ცხოვრებაში პირველი ჩასვლა იქნება ლონდონში, ბევრი კი საერთოდაც უბილეთოდ დარჩა. მთელი ქალაქი ამ საშაბათო მოვლენის მოლოდინშია, თუმცა, ცოტას თუ სჯერა, რომ მათი გუნდი „ჰაიბერიზე" რამეს მოახერხებს. ფარნბოროს ტოტალიზატორებში ამ მატჩზე ფული მეჩხერად შედის. ფრეზე ფსონი 8-1-ია, „ბოროს" მოგებაზე 33-1. უილიამ ჰილის კანტორამ გამოაცხადა, რომ „ფარნბროს" გამარჯვებაზე ერთადერთმა კაცმა დადო ფული.

ზოგიერთები იმასაც ამბობენ, რომ „ფარნბოროს" თავად თამაში დიდად არ აინტერესებს, რადგან მაინც წაგებული აქვს, ამიტომ შემოსავალს უფრო მისდევს. გაყიდული ბილეთების წილი კლუბსაც ერგება და კიდევ, „ფარნბროს" თავის სტადიონზე უნდა ეთამაშა „მეთოფეებთან", მაგრამ თამაში „ჰაიბერიზე" გადაუტანეს და ამაში კომპენსაციაც გადაუხადეს. ამ კომპენსაციამ საშუალება მისცა პაწაწინა კლუბს სამდღიანი შეკრება მოეწყო ესპანეთში.

ფარნბოროს სტადიონი „ჩერვუდ პარკი" სულ 4 ათას მაყურებელს იტევს და სამოყვარულო ლიგისათვისაც კი არცთუ სანიმუშო ადგილია. იქ დაცვის სისტემა არ არსებობს და თუ მთელი ქალაქი სტადიონისკენ დაიძრა, თამაში ჩაიშლება. ამიტომაც „ბორო" სტუმრობას დათანხმდა.

ისე კი, მთელს ფარნბოროს იმედი აქვს, რომ ერთ გოლს მაინც გაიტანს „ჰაიბერიზე". ამით ქალაქის ისტორიაში ფურცელი ჩაიწერება.

**ირაკლი გამყრელიძე**











# რობსონს სხვისი კარგი მოუნდა

## ვენეიბლზმა კლებერსონი ხელიდან გაუშვა და... ნიუკასლში გაუშვა?

„ნიუკასლ იუნაიტედის" თავკაცი, ბობი რობსონი ბრძანებს, რომ ინგლისის ნაკრების მცველის, ჯონათან ვუდგეიტისა და ბრაზილიელი მსოფლიოს ჩემპიონის, კლებერსონის შეძენა სურს. როგორც გაირკვა, ამ ორ ფეხბურთელთან დაკავშირებით „ნიუკასლის" წარმომადგენლები უკვე დალაპარაკებიან მათ კლუბებს, „ლიდს იუნაიტედსა" და „ატლეტიკო პარანენსეს".

რობსონმა საგენტო „როიტერს" განუცხადა: „შემიძლია დაგიდასტუროთ, რომ ჩვენ უკვე გადავდგით პირველი ნაბიჯები, მაგრამ მოსალაპარაკებელი ბევრი რამ არის და სანამ რაიმე კონკრეტული მოხდება, დიდი სამუშაო გველის. ახლა ამაზე მეტის თქმა არ შემიძლია. მეტიც, იმედი მქონდა, რომ ყველაფერი ჩუმად ჩატარდებოდა, მაგრამ ვიღაცას დასცდა და, მერწმუნეთ, ეს ვიღაცა მე არ ვიყავი".

დაბადებით მიდლსბროელი ვუდგეიტი, რომელიც გუშინ 23 წლის გახდა, ერთ-ერთი ბოლოთაგანია, ვისაც შეიძლება ვალებში ჩაძირული „ლიდსის" დატოვება მოუხდეს. გავიხსენოთ, რამდენი მოთამაშე გაჰყიდა ამ ორიოდ წლის წინ ფრიად სიმპათიურმა ინგლისურმა კლუბმა ზაფხულიდან მოყოლებული: რიო ფერდინანდი და რობი კინი „მანჩესტერ იუნაიტედსა" და „ტოტენჰემ ჰოთსპურს" მიართვა, ფრანგი ოლივიე დაკური „რომაში" გადავიდა. ლი ბოიერი კი „ვესტ ჰემის" წევრი გახდა.

ირონიული დამთხვევა კი ის გახლავთ, რომ კლებერსონი, რომელიც ვუდგეიტის ტოლია, ერთი კვირის წინ სწორედ „ლიდსთან" აწარმოებდა მოლაპარაკებებს, ოღონდ, „ატლეტიკო პარანენსეს" წარმომადგენელთა განცხადებით, ხელშეკრულება არ შედგა — თანხაზე ვერ შეთანხმდნენ.

„ნიუკასლის" თავმჯდომარე ფრედი შეფერდი კლებერსონის გამო თავად ჩაფრენილა ბრაზილიაში, ამბობს გაზეთი „ივნინგ ქრონიკალი".

„ფეხბურთელს მხოლოდ იმ შემთხვევაში ვიყიდით, თუ იგი ჩვენს დღევანდელ მოთამაშეებს სჯობს, ხოლო თუ ასეთს ვერ ვიპოვით, ფულს ტყუილად არ დავხარჯავთ" — თქვა რობსონმა.

**პაპუნა ძიდია**




მაიკლ ოუენის საფინალო გოლი

# რაღა ახლა...

## ლივერპულმა შეფილდს მეჩვიდმეტე ჩაუმწარა

### ინგლისი

**ლიგის თასი. 1/2 ფინალი**
**საპასუხო მატჩი**

**ლივერპული 2:0დ.დ.(1:0) შეფილდ იუნ. (1:2)**
**1:0 დიუფი (9), 2:0 ოუენი (107)**

დახეთ, მგონი უშველა „ლივერპულს“ თავდამსხმელთა მწვრთნელად დიდი იან რაშის დანიშვნამ. სულ რაღაც ორი გაკვეთილი და ფორვარდებმა გოლების გატანა დაიწყეს. პრემიერლიგაში ემილ ჰესკიმ შეაგდო, ახლა კი ელჰაჯი დიუფმა და მაიკლ ოუენმა.

ლიგის თასის დებულებაში წერია, რომ ჯამური ფრის შემთხვევაში სტუმრად გატანილ გოლს უპირატესობა არ ენიჭება (ისევე როგორც სამხრეთ ამერიკაში), თორემ შეფილდის „ბრემელ ლეინზე“ 1:2 წაგების მერე „ლივერპულს“ ფინალში გასასვლელად დიუფის ადრიანი გოლიც ეყოფოდა და დამატებითი ტაიმები საჭირო აღარ იქნებოდა. მაგრამ ბევრიც არაფერი შეცვლილა, ასე თუ ისე, „ლივერპულმა“ მაინც მოიგო და ახლა ფინალში თასის მფლობელ „ბლექბერნ როვერსისა“ და „მანჩესტერ იუნაიტედის“ წყვილში გამარჯვებულს შეხვდება. ამათ საპასუხო შეხვედრა წუხელ გვიან გაიმართა და მისი შედეგი „სარბიელის“ მეორე გვერდზე შეგიძლიათ ნახოთ. ბარემ აქვე დავძინოთ, რომ ფინალი 2 მარტს, ტრადიციულად ქცეულ ადგილას, კარდიფის „მილენიუმზე“ გაიმართება.

ისე, „ლივერპულმა“, რომელიც ლიგის თასის ექვსგზის მფლობელია, ალალად დაიმსახურა უელსის მთავარქალაქში გამგზავრება, რაკი „ენფილდზე“ ერთთავად თვითონ ფლობდა ბურთს, თუმც ანგარიშის მიხედვით ამის თქმა ძნელია. საქმე კი ის გახლავთ, რომ „შეფილდმა“ დაცვაში კარგად თამაშს ნახევარდაცვასა და შეტევაში ასეთივე გარჯა ვერ შეუხამა და თუმცა მედგრად იბრძოდა, სახიფათო მომენტები, ფაქტობრივად, არ შეუქმნია.

ანგარიში ასე გაიხსნა: ოუენის დარტყმული სტუმრებმა მოიგერიეს, მაგრამ ბურთი ემილ ჰესკის მიუვიდა, რომელმაც დარტყმის მაგიერ დიუფისთვის დაგორება ამჯობინა და არც შეცდა — სენეგალელის ოციოდე მეტრიდან მოქნეულს მეკარემ ვერაფერი მოუხერხა. ამის მერე პირველ ლივერპულულ სეზონში მეხუთე გოლის გამტანმა დიუფმა ხარიხასაც გაარტყა. შეფილდელთა საუკეთესო მომენტად კი მაიკლ ბრუნის საჯარიმო დარტყმა შეიძლება ჩავთვალოთ, რომელიც კირკლანდმა რის ვაი-ვაგლახით მოიგერია კუთხურზე.

„ლივერპულს“ კიდევ ჰქონდა მომენტები, მაგრამ გამარჯვების გოლი 107-ე წუთზელა გავიდა. მისმა ავტორმა მაიკლ ოუენმა კი თქვა: „რეალურად სულ ორი საგოლე მომენტი მქონდა. მათგან მეორე უფრო ხელსაყრელი იყო და გავიტანე კიდეც. ახლა ფინალში ვართ, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს, წინ მთელი სეზონია და სასიამოვნო მხოლოდ ისაა, რომ წლეულს პირველ ჯილდოსთან ძალიან ახლოს ვართ“.

„შეფილდ იუნაიტედმა“ კი წლეულსაც დაკარგა შანსი ფინალში გასვლისა, რომელშიც შორეული 1936 წლის მერე აღარ ყოფილა. არადა, ამ მატჩამდე შეფილდელებს ზედიზედ 16 თამაში არ წაუგიათ. მაგრამ მოხდა ისე, რომ ზედიზედ თერთმეტი შეხვედრის ვერმომგებ „ლივერპულს“ სწორედ წინა უქმეებიდან მოეპრიანა კვლავ გამარჯვების გზაზე შედგომა.

**ირაკლი ნინიძე**

# სულაც არ იყო კარგი
## პანკარო კარს და ნახევარფინალს გადაეფარა

### იტალია

**თასის 1/4 ფინალი**
**საპასუხო მატჩი**

**ბარი 0:0 ლაციო (1:2)**

**ლაციო:** მარკეჯანი, ოდო, სტამი, ფ. კოუტუ, პანკარო, კასტრომანი (დ. ბაჯო 89), სიმეონე, ლივერანი, კ. მანფრედინი (ფიორე 60), კორადი, კიეზა (კ. ლოპესი 69)

**მწვრთნელი:** რობერტო მანჩინი

**„ლაციო“**, რომელიც სერია A-ს ლიდერთაგანია, უგოლოდ გაეყარა დაბალსერიელ „ბარის“, რაც თასის ნახევარფინალში გასასვლელად სავსებით აძლევდა ხელს. შეგახსენებთ, რომ რომაელებს პირველი მატჩი 2:1 ჰქონდათ მოგებული.

პირველი შეხვედრის შედეგის გათვალისწინებით, საპასუხოში მეტი აქტიურობა ბარელებს მართებდათ და ასეც იყო. თუმც აქტიურობა ყოველთვის როდი ნიშნავს აუარება საგოლე მომენტის შექმნას — პირველ ტაიმში „ბარის“ ასეთი სულ რამდენიმე ჰქონდა. მათგან გამოვარჩიოთ ხაიმე ვალდესის გარღვევა და მეკარე ლუკა მარკეჯანისთვის ბურთის თავზე გადაგდების მცდელობა. ვალდესმა ეს მოახერხა, მაგრამ მარკეჯანი მომხვდურს ჩანაფიქრს დროულად მიუხვდა და კარისკენ გაქცევა და ბურთის მოგერიება მოასწრო. თავის მხრივ, რომაელ ენრიკო კიეზასაც ჰქონდა კარგი მომენტი, მაგრამ ბერნარდო კორადის დაგორებულ ბურთს ოდნავ არაზუსტად დაჰკრა.

შესვენების შემდეგ სტუმართა მწვრთნელმა რობერტო მანჩინიმ შეტევის გასამწვავებლად მოედანზე სტეფანო ფიორე და კლაუდიო ლოპესი შეუშვა. ამ ცვლილებებს შედეგი არ მოუტანია, რაკი „ლაციო“ მეტწილად მასპინძელთა გააფთრებული იერიშების მოგერიებით იყო დაკავებული და ბოლო 20 წუთი, ფაქტობრივად, მეტოქის ნახევარზე არც გადასულა. მოგეხსენებათ, „ბარის“ დასაკარგი არაფერი ჰქონდა, ხოლო „ლაციოსთვის“ ერთი გაშვებული გოლიც საბედისწერო გამოდგებოდა.

კინაღამ ასეც მოხდა. 76-ე წუთზე ლიონელ პიგინეტის დაბალი დარტყმაც კარში უნდა შეფრენილიყო, რაკი მარკეჯანი მის მოგერიებას ვერაფრით შეძლებდა, მაგრამ ბოლო წამს ბურთს ჯუზეპე პანკარო გადაეფარა და ვითარება განმუხტა.

ამგვარად, ნახევარფინალში „ლაციო“ „რომასა“ და „ვიჩენცას“ შორის გამარჯვებულს შეხვდება. ეს მატჩი გუშინ კი გაიმართა, მაგრამ ამ მიმოხილვის წერისას მისი შედეგი ჯერ არ ვიცოდით.

„ჩვენ სულაც არ გვითამაშია კარგად — თქვა ნამატჩევს რობერტო მანჩინიმ — ორი თუ სამი მომენტი გვქონდა და ვერ გამოვიყენეთ. თუ თასის მოგება გვსურს, რაღაც უნდა შევცვალოთ, თორემ ასეთი თამაშით წინ ველარ წავალთ“.

მანჩინის ნახევარფინალში შესაძლო რომაულ დერბიზეც ჰკითხეს: „ნებისმიერი დერბი დიდი მოვლენაა, მით უფრო, თუ ამ დერბიში გამარჯვებული თასის ფინალში გადის“.

**გიორგი დარჯანია**




ჯუზეპე პანკაროს რომაელებისგან მადლობა ეკუთვნის




სტუმარი იბრაჰიმ ბაკაიოკო (ბურთით) და ჟან-ჟოელ პერიე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარსელი | 23 | 11 | 6 | 6 | 23:20 | 39 |
| ნიცა | 22 | 10 | 8 | 4 | 28:16 | 38 |
| ოსერი | 22 | 10 | 7 | 5 | 22:17 | 37 |
| ლიონი | 22 | 10 | 6 | 6 | 37:27 | 36 |
| მონაკო | 22 | 9 | 8 | 5 | 32:20 | 35 |
| სოშო | 21 | 9 | 7 | 5 | 23:14 | 34 |
| გენგამი | 22 | 10 | 4 | 8 | 31:28 | 34 |
| პსჟ | 22 | 8 | 8 | 6 | 30:21 | 32 |
| ლანსი | 21 | 8 | 7 | 6 | 22:19 | 31 |
| ბორდო | 21 | 8 | 6 | 7 | 26:20 | 30 |
| ნანტი | 20 | 8 | 4 | 8 | 23:24 | 28 |
| ბასტია | 22 | 8 | 4 | 10 | 23:28 | 28 |
| ლილი | 21 | 7 | 7 | 7 | 20:26 | 28 |
| სტრასბური | 21 | 7 | 7 | 7 | 24:31 | 28 |
| რენი | 22 | 7 | 5 | 10 | 21:25 | 26 |
| სედანი | 21 | 6 | 6 | 9 | 23:30 | 24 |
| აიაჩო | 22 | 4 | 8 | 10 | 17:28 | 20 |
| ლე ავრი | 22 | 4 | 8 | 10 | 15:26 | 20 |
| მონპელიე | 22 | 3 | 9 | 10 | 19:30 | 18 |
| ტრუა | 21 | 3 | 7 | 11 | 14:23 | 16 |

**II დივიზიონი. XXI ტური**

**ტულუზი 2:0 ლე მანი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტულუზი | 22 | 12 | 5 | 5 | 29:14 | 41 |
| ლე მანი | 21 | 11 | 6 | 4 | 28:18 | 39 |
| შატორუ | 20 | 10 | 5 | 5 | 24:18 | 35 |
| ლორიანი | 21 | 10 | 4 | 7 | 25:23 | 34 |
| მეცი | 20 | 9 | 6 | 5 | 22:16 | 33 |
| გრენობლი | 21 | 7 | 9 | 5 | 25:14 | 30 |
| ნიორი | 21 | 8 | 5 | 8 | 22:21 | 29 |
| კრეტეი | 19 | 6 | 10 | 3 | 26:19 | 28 |
| ამიენი | 20 | 7 | 5 | 8 | 16:17 | 26 |
| ვალანსი | 20 | 7 | 4 | 9 | 23:23 | 25 |
| ბოვე | 19 | 6 | 6 | 7 | 11:10 | 24 |
| ლავალი | 19 | 6 | 6 | 7 | 18:20 | 24 |
| ვასკეალი | 20 | 5 | 9 | 6 | 16:19 | 24 |
| კლერმონი | 20 | 6 | 5 | 9 | 22:30 | 23 |
| სენტ ეტიენი | 19 | 5 | 7 | 7 | 15:16 | 22 |
| კაენი | 20 | 4 | 10 | 6 | 21:24 | 22 |
| ისტრი | 20 | 5 | 7 | 8 | 18:33 | 22 |
| რეიმსი | 20 | 3 | 10 | 7 | 16:22 | 19 |
| გენიონი | 19 | 4 | 6 | 9 | 13:22 | 18 |
| ნანსი | 19 | 4 | 5 | 10 | 16:27 | 17 |

# შგოლო და გულიანი

### საფრანგეთი

**I დივიზიონი. XXIII ტური**

**ოსერი 0:0 მარსელი**

**ფრანგთა** პირველი დივიზიონის ცხრილს სამშაბათს სათავეში „მარსელი“ მოექცა, რაკი მისი და „ოსერის“ შეხვედრა ტურის სხვა მატჩებზე ერთი დღით ადრე გაიმართა. ახლა, როცა ამ მიმოხილვას კითხულობთ, უკვე იცით, როგორც დაუხვდა „ნიცა“ „პარი სენ ჟერმენს“ და ისიც გეცოდინებათ, ნიცელებმა პირველი ადგილის დაბრუნება შეძლეს თუ ვერა. მხოლოდ იმას შეგახსენებთ, რომ ამ ტურამდე „მარსელს“ და „ნიცას“ თანაბარი ქულები ჰქონდათ და ნიცელები მოქიშპეს ოდენ ბურთების უკეთესი შეფარდებით ჯობნიდნენ.

„ოსერისა“ და „მარსელის“, ჩემპიონობის მაძიებელი გუნდების შეხვედრა უგოლოდ დასრულდა, არადა, საგოლე მომენტები იმდენი შეიქმნა, თვლას ვერ აუვალთ. მაგრამ არც მასპინძელ ჯიბრილ სისეს და არც სტუმართა ფორვარდებს, დმიტრი სიჩევსა და იბრაჰიმ ბაკაიოკოს, ბედი არ სწყალობდათ.

ისე, ერთი გოლი მაინც გავიდა, მასპინძელთა კაპიტანმა იან ლაშუერმა 62-ე წუთზე გაიტანა, მაგრამ მსაჯმა ოფსაიდის გამო გააუქმა.

ბოლოს კი დავძინოთ, რომ მარსელელებს მომავალ უქმეებზე მეტად მძიმე შეხვედრა ელით — „პარკ დე პრენსზე“ პსჟ-ს სათასოდ ხვდებიან.

**ირაკლი ნინიძე**

სარბიელი
სამუშაოდ
იწვევს
გაზეთში ნამუშევარ
დამკაბადონებელს
მიღება მოხდება შერჩევით
მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის“ რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე.
(ორშაბათის და პარასკევის გარდა)
ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14

*იტალიურ ფეხბურთში ახალი სკანდალია. მისი ავტორი „ინტერის“ ვიცე-პრეზიდენტი, წარსულში ცნობილი ფეხბურთელი ჯაჩინტო ფაკეტი გახლავთ, ხოლო თემა „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტის, ადრიანო გალიანის მოღვაწეობა. მაშ, ასე, მილანური დერბი კვლავ ყურადღების ცენტრშია, ოღონდ, ამჯერად „შავ-ლურჯები“ და „შავ-წითლები“ მინდორზე არ უპირისპირდებიან ერთმანეთს, ისინი შავ საკითხებზე დავობენ.*




ადრიანო გალიანის ჯაჩინტო ფაკეტის ბრალდება სასაცილოდ არ ეყო

# არ გრცხვენია, ადრიანო?!

## ფაკეტი: გალიანიმ მილანი თავზე დაგვასვა

„დახედეთ ბალანსს — განუცხადა ფაკეტიმ „გაძეტა დელო სპორტს“ — „მილანმა“ ამ სეზონში უკვე ცხრა პენალტი დაარტყა, მის კარში კი ერთიც არ დანიშნულა. ვფიქრობ, ეს სტატისტიკა მხოლოდ ჩვენ კი არა, „მილანის“ სხვა მეტოქეებსაც უნდა აფიქრებდეთ“.

აქ, ციტატა დროებით გავწყვიტოთ, რათა გალიანის თანამდებობები კარგად გავიხსენოთ, თორემ შეიძლება დავიბნეთ. ადრიანო გალიანი გარდა იმისა, რომ „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტია, იტალიის საფეხბურთო ლიგის პრეზიდენტიც გახლავთ. რაც იმას ნიშნავს, რომ სერია A-ს შეჯიბრებას დაინტერესებული პირი, ერთ-ერთი წამყვანი გუნდის თავკაცი ხელმძღვანელობს. კეთილი, მაგრამ რატომ არის დაინტერესებული პირი ასეთ თანამდებობაზე? — იკითხავთ თქვენ და, რა თქმა უნდა, მართალი იქნებით.

ახლა კი ციტატა გავაგრძელოთ:

„გალიანის ამ თანამდებობაზე არჩევა, შარშან ივლისში, დიდი კამათის საგანი იყო — განაგრძობს „ინტერის“ ვიცე-პრეზიდენტი — რამდენად მართებულია ერთი ადამიანი კლუბსაც ხელმძღვანელობდეს და იმავდროულად ლიგასაც?“

ერთი სიტყვით, ლაპარაკი იმაზეა, რომ რაკილა გალიანი ლიგას მეთაურობს, მას შეუძლია მსაჯებზე ზეგავლენაც იქონიოს. რაც შეეხება „ინტერის“ გაღიზიანებას, უფრო სწორად კი იმას, რატომ გაღიზიანდა ეს კლუბი დღეს და არა, ვთქვათ, ერთი კვირის წინ, ეს მარტივი ასახსნელია. ბოლო ტურში „შავ-ლურჯებმა“ პერუჯაში 1:4 წააგეს და ამ შეხვედრაში მათ საზიანოდ ორი საეჭვო ამბავი მოხდა. პირველი ის, რომ ერთი გოლი „ინტერის“ კარში ისეთი პენალტის შედეგად შეაგდეს, რომელიც შესაძლოა, არც იყო პენალტი და მეორე — კიდევ ერთი გოლი ძალიან ჰგავდა ხელით გატანილს.

„გალიანის მენეჯერულ ნიჭსა და პატიოსნებაში ეჭვი არ შემაქვს — დასძინა ფაკეტიმ — მაგრამ ერთი კი უნდა ვკითხო: არ სცხვენია?“.

კაცმა რომ თქვას რას ნიშნავს მენეჯერული პატიოსნება, ცოტა გაუგებარია. ნეტავ, თუ შეიძლება ადამიანი როგორც მენეჯერი პატიოსანი იყოს, ხოლო ისე — ნაძირალა? ეტყობა, „ინტერის“ ვიცე-პრეზიდენტმა იფიქრა, ლანძღვასაც აქვს საზღვარიო და მთლად ქართველი პარლამენტარებივით რომ არ გამოსულიყო (ერთმანეთს „შე მექრთამეოს“ გამარჯობა-ნახვამდისავით დილა-საღამოს რომ ეუბნებიან) ოდნავ უკან დაიხია.

ახლა, ალბათ, გაინტერესებთ, რა პასუხი გასცა ფაკეტის ბრალდებებზე „მილანმა“. ქართველი ჩინოსნებისგან განსხვავებით (რომლებიც, ვიღაც მექრთამეს რომ უწოდებს, „არა ვარო“, იმასაც ველარ ამბობენ), „მილანმა“ მომხდარს ადექვატური რეაქცია მისცა. თან, ნუ დაგვავიწყდება, რომ გალიანისთვის მექრთამეობა არავის დაუწამებია, პირიქით, მენეჯერულად პატიოსანი უწოდეს, თორემ, საქმე სასამართლოზე გაირჩეოდა. „შავ-წითლების“ მწვრთნელმა, კარლო ანჩელოტიმ კი ასე ბრძანა:

„გაღიზიანებული გახლავართ. ჩვენ 39 ქულა დავიმსახურეთ, არადა, ვიღაცეებს ჰგონიათ, რომ ეს ცხრა პენალტის გამო მოხდა. გუნდებს, რომელთა კარშიც ხსენებული პენალტები დაინიშნა, ერთი პროტესტი არ დასცდენიათ და გაოცებული დავრჩი, რატომ აღშფოთდა „ინტერი“? მისთვის პენალტით გოლი ხომ არ გაგვიტანია? რაც შეეხება გალიანის, იგი ლიგის პრეზიდენტად მაშინ აირჩიეს, როდესაც კლუბები დილემის წინაშე იდგნენ და მის კანდიდატურას ყველა დაეთანხმა, ამიტომაც გალიანის შეუძლია მშვიდად განაგრძოს მუშაობა. ჩვენი გუნდი, როდესაც ცუდად ითამაშა, დამარცხდა. ერთი სიტყვით, ფაკეტის გამონათქვამთა ნამდვილი მიზანი, ვერ გამიგია და საერთოდაც, ვფიქრობ, არავის აქვს უფლება, ასე შეუტიოს თავად „ინტერს“, „იუვენტუსს“, „ლაციოს“ ან ნებისმიერ სხვა კლუბს. კამათით ჩემი ფეხბურთელობის დროსაც კამათობდნენ, მაგრამ მაშინ ირონია მეტი იყო, ბოღმა — ნაკლები“.

თავად გალიანიმ კი არჩევნები გაიხსენა: „ლიგის პრეზიდენტად 2002 წლის 9 ივლისს 24 ხმით ამირჩიეს, წინააღმდეგი არავინ ყოფილა, თავი კი ათმა კაცმა შეიკავა. ამასთან, მაშინვე განვაცხადე, რომ „მილანიდან“ არსად წავიდოდი“.

**პაპუნა ქედია**

# მოდელმა თქვა, მუცლით რონალდოს მოდელს დავატარებო

**ბრაზილიური** გაზეთები სენსაციურ ცნობას იუწყებიან. იქაური მოდელი ვივიანე ბრუნერი საჯაროდ ამცნობს ხალხს, რომ უკვე ექვსი თვეა ორსულადაა. მერე და ამით რა? გაიკვირვებთ თქვენ... სხვა ყველა შემთხვევაში, ვიღაც დიაცის დაფეხმძიმების ამბავს გაზეთები არად ჩააგდებდნენ, მეტადრე ფეხბურთის მოყვარულები ვერ შეიტყობდით ამაზე ვერაფერს. თუმცა აქ სკანდალურ დაფეხმძიმებასთან გვაქვს საქმე.

როგორც თავად ქალბატონი ირწმუნება, მისი მომავალი შვილის მამა მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელია.

„რონალდო უზომოდ ბედნიერია ვივიენის ფეხმძიმობით. მან არაერთხელ დარეკა ტელეფონით და საჩუქრებსაც გზავნის“ — იუწყება მოდელის აგენტი ვინმე რიკარდუ.

ნურას უკაცრავად, ცოლიანმა რონალდომ ვინმეს დაფეხმძიმების ფაქტი მისივე პრესატაშის მეშვეობით უარყო — „ეს ვიღაც თავგასული ქალის ოინებია, რომელიც ცდილობს პოპულარობა ცნობილი ფეხბურთელის ხარჯზე მოიპოვოს“ — განაცხადა მსოფლიოს ჩემპიონის პრეს-ატაშემ.

**ნიკა ფუგლაძე**



## ფეხბურთის რუკასთან



**ისრაელის** ეროვნული გუნდი ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის შესარჩევ სამ საშინაო შეხვედრას იტალიაში, კერძოდ კი კუნძულ სიცილიაზე გამართავს. გუშინ ისრაელის ფეხბურთის ფედერაციამ სწორედ ზემოხსენებული ფაქტის დამადასტურებელი ფაქტი მიიღო, სადაც იტალიელები ებრაელებს პალერმოში თამაშს სთავაზობენ. უეფამ ისრაელის ნაკრებს ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური არეულობების გამო თელ ავივის სტადიონზე მატჩების ჩატარება რა ხანია, აუკრძალა, ებრაელებიც სტუმრებს კუნძულ კვიპროსზე მასპინძლობდნენ.

**ინგლისური „ლიდსის“ მეკარე ნაიჯელ მარტინი კლუბის გამოცვლას არ აპირებს. მარტინს წლევანდელი სეზონიდან ძირითადი მეკარეობა ახალგაზრდა პოლ რობინსონმა აწაპნა. ეს ის რობინსონია, რამდენიმე წლის წინ სწორედ ნაიჯელ მარტინის დუბლიორი რომ იყო. „ცხადია, სათადარიგოობა არ მხიბლავს, მაგრამ იმედს არ ვკარგავ. პოლ რობინსონი ახლა მართლაც კარგ ფორმაშია, თუმც ვარჯიშებზე თავს არ ვზოგავ და ჩემს შანსს ველი“ — აცხადებს ვეტერანი და ერთ დროს ინგლისის ნაკრების გოლკიპერი.**

**ესპანური** „რეალის“ ხელმძღვანელობამ ოფიციალურად განაცხადა, რომ არგენტინელი ნახევარმცველი სანტიაგო სოლარი და თავდამსხმელი ფერნანდო მორიენტესი კლუბს არ სჭირდება. მათ უახლოეს ხანში ტრანსფერზე დააყენებენ. „რეალის“ სპორტული დირექტორის ხორხე ვალდანოს აზრით, სოლარისა და მორიენტესის გუნდში დატოვება კლუბში დისკომფორტს გამოიწვევს: „მათ ბევრი რამ გააკეთეს „რეალისთვის“, მაგრამ შეუცვლელი არავინაა. სოლარის გუნდში დარჩენა ახალგაზრდა რაულ ბრავოს პერსპექტივას დაჩრდილავს. მორიენტესს ბრაზილიელი რონალდოს ძირითადიდან ამოგდება არ ძალუძს, დუბლიორი ყმაწვილი ხავიერ პორტილიოა“ — თქვა ვალდანომ და დასძინა, კომპენსაციის გარეშე მათი მსურველი კლუბი ვერც ერთს წაიყვანსო.

**გერმანიის ნაკრებისა და იტალიური „კიევოს“ 34 წლის თავდამსხმელი ოლივერ ბირჰოფი კარიერის დასრულებას აპირებს. „99 პროცენტით დარწმუნებული ვარ, რომ ეს სეზონი ჩემთვის ბოლო იქნება. მწვრთნელობაზე ჯერ არ მიფიქრია. მსურს, 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ორგკომიტეტში მოვხვდე“ — აცხადებს ფეხბურთის ისტორიაში პირველი „ოქროს გოლის“ გამტანი ფეხბურთელი. შეგახსენებთ, 1996 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალში გერმანელებმა ჩეხეთის ნაკრები სწორედ „ოქროს გოლით“ დაამარცხეს 2:1.**

**ინგლისურ** „ფულემს“ უეფამ სატრანსფერო საქმიანობა დროებით შეუჩერა და ემბარგო დაადო. ლონდონურ კლუბს თურმე დღემდე არ გადაუხდია ფრანგული „ლიონისთვის“ სტივ მარლეს სანაცვლო საკომპენსაციო თანხა, ორი მილიონი გირვანქა. „ლიონმა“ უეფაში იჩივლა, „ფულემის“ არგუმენტები კი ევროპული ფეხბურთის მმართველმა ორგანიზაციამ არასაკმარისად მიიჩნია. საქმის ხელახალი მოსმენა 19 თებერვლისთვისაა დანიშნული.

**ბერძნულ „პანათინაიკოსში“ 24 წლის რუსი ნახევარმცველი ვლადიმირ ბუტი ვარჯიშობს. რუსი ფეხბურთელი კონტრაქტით ჯერაც გერმანული „ფრაიბურგის“ კუთვნილებაა, თუმც თუ ბუტმა „პანათინაიკოსის“ ურუგვაელ მწვრთნელ სერხიო მარქარიანს თავი მოაწონა, ათენური კლუბის უფროსობა თავის ფრაიბურგელ კოლეგებს ტრანსფერზე და კონტრაქტის გამოსყიდვაზე დაელაპარაკება.**

**ჰოლანდიელი** ფორვარდი ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი სულ ცოტა, სეზონის ბოლომდე ლონდონურ „ჩელსიში“ დარჩება, მერე კი თავად გადაწყვეტს, სად გააგრძელებს კარიერას. ჰასელბაინკს ამას წინათ ესპანური „ბარსელონა“ ეკურკურებოდა. კატალონიელები თანახმანი იყვნენ, 11 მილიონი ევრო გაეღოთ ტრანსფერში, მაგრამ...

**იტალიურმა „პერუჯამ“ ლონდონურ „ტოტენჰემს“ უკრაინელ ფორვარდ სერგეი რებროვის სანაცვლოდ ნიკოლა ამორუზო შესთავაზა. რებროვს, მას შემდეგ, რაც „ფულემში“ გადასვლა ჩაეშალა, იტალიაში თამაშის პერსპექტივა ძალიან ხიბლავს, მით უფრო, რომ აპენინებზე მისმა თანამემამულე ანდრეი შევჩენკომ სახელი მოიხვეჭა. ნიკოლა ამორუზო კი ამას წინათ „პერუჯას“ პრეზიდენტ ლუჩანო გაუჩის ეჩხუბა და კლუბიდან წასვლას აპირებს, თუმც „ტოტენჰემის“ სავარაუდო ვარიანტი მას აბსურდულად მიაჩნია.**

**უკრაინული** დონეცკის „მეტალურგიდან“ მწვრთნელი დაითხოვეს. სემიონ ალტმანს ეს ცნობა თურქული შეკრებიდან დაბრუნებულს დაახვედრეს. ალტმანის კომენტარი ასეთია: „შევხვდი როგორც კლუბის პრეზიდენტს, ისე ვიცე-პრეზიდენტს. მათ მადლობა გადამიხადეს კლუბში გაწეული სამუშაოსთვის და პირდაპირ ამიხსნეს, „მეტალურგის“ პერსპექტივას უცხოელი მწვრთნელის ხელში ვხედავთო. რა უნდა მეთქვა, თავად არიან კლუბის ბოსები და ალბათ ასე ჩათვალეს მიზანშეწონილად. თუმც პრეზიდენტმა სერგეი ტარუტამ აღმითქვა, საკომპენსაციოდ კონტრაქტით რაც გეკუთვნოდა, უკლებლივ აგინაზღაურებთო.“ ჩვენ კი შეგახსენებთ, დონეცკის „მეტალურგში“ საქართველოს ნაკრების გამთამაშებელი გოჩა ჯამარაული თამაშობს. ჰოდა, „ჯამარაც“ აქამდე სწორედ ალტმანის მეთვალყურეობით ვარჯიშობდა.

**გერმანულმა „ბაიერნმა“ კონტრაქტი კიდევ ერთ ფეხბურთელს გაუფორმა: 21 წლის ტობიას რაუ „ვოლფსბურგის“ აღზრდილია და ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებშიც თამაშობს. გერმანიის მრავალგზის ჩემპიონებმა პერსპექტიულ რაუს სამწლიანი ხელშეკრულება გაუფორმეს. ბავარიული გუნდის მწვრთნელ ოტმარ ჰიცფელდს ტობიას რაუ მომავალი სეზონიდან ფრანგ მცველ ბიქსენტ ლიზარაზუს შემცვლელად შეუგულებია.**

**იტალიურმა** „სალერნიტანამ“ რუსეთის ნაკრების მეკარე რუსლან ნიგმატულინს ნახევარწლიანი კონტრაქტი გაუფორმა. სალერნოული კლუბი სერია B-ს აუტსაიდერია, რომელმაც ცოტა ხნის წინ ცნობილი ჩეხი მწვრთნელი ზდენეკ ზემანი დაითხოვა. ნიგმატულინი „ვერონას“ საკუთრებაა. „სალერნიტანამ“ მეკარე იჯარის წესით ითხოვა.

**ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა მადრიდის „რეალის“ მცველი ივან ელგერა ორმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა. გახსოვთ, ალბათ, ელგერამ კვირას გამართულ მადრიდულ დერბიში უკნიდან ატლეტიკოელი ხავი მორენო მოჩეხა და მსაჯისგან წითელი ბარათიც სამართლიანად დაიმსახურა. ახლა ივან ელგერას „მალიორკასთან“ დღეს გასამართი სამეფო თასის და საშაბათო პრიმერადივიზიონული მატჩის გამოტოვება მოუწევს — უქმეებზე „რეალი“ ბილბაოს „ატლეტიკს“ ხვდება.**

**იტალიურმა** „ტორინომ“ „პარმადან“ ნახევარმცველი მასიმო დონატი ინათხოვრა. ტურინული კლუბი სერია A-ს ერთ-ერთი აუტსაიდერია, დონატი კი მის შემდეგ, რაც ზაფხულში „მილანი“ დატოვა, ვერც „პარმას“ ძირითადში იმკვიდრებდა ადგილს. ფეხბურთელი იმედოვნებს, რომ შესაძლებლობების სრულად წარმოჩენა ახლა მაინც მოუწევს.

# სარბიელი და კროკო
## წარმოგიდგენთ

**გერმანია. ბუნდესლიგა. XVIII ტური**

**25 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 001 | ბოხუმი-ნიურნბერგი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 18.30 | 002 | ჰანზა-მიუნხენი | 2,35 | 3,3 | 2,7 | 1,37 | 1,25 | 1,48 |
| 18.30 | 003 | ჰანოვერი-ჰამბურგი | 2,45 | 3,1 | 2,7 | 1,36 | 1,28 | 1,44 |
| 18.30 | 004 | ვერდერი-არმინია | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 18.30 | 005 | ვოლფსბურგი-შალკე | 2,45 | 3,1 | 2,7 | 1,36 | 1,28 | 1,44 |
| 18.30 | 006 | კაიზერსლაუტერნი-შტუტგარტი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| 18.30 | 007 | ჰერტა-დორტმუნდი | 2,5 | 3,1 | 2,6 | 1,38 | 1,27 | 1,41 |

**26 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 008 | ლევერკუზენი-კოტბუსი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | 009 | ლევერკუზენი-კოტბუსი | 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | |
| 23.15 | 010 | ბაიერნი-მიონხენგლადბახი | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 011 | ბაიერნი-მიონხენგლადბახი 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |

**გერმანია. II ბუნდესლიგა. XVIII ტური**

**24 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 012 | სტ.პაული-აინტრახტი | 3,5 | 3,3 | 1,95 | 1,69 | 1,25 | 1,22 |
| 22.00 | 013 | ვალდჰოფი-ბრაუნშვაიგი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 22.00 | 014 | კიოლნი-კარლსრუე | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| | 015 | კიოლნი-კარლსრუე 0:1 | 2,1 | 3,2 | 2,4 | | | |

**26 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 016 | მაინცი-უნიონი | 1,7 | 3,3 | 4,8 | 1,12 | 1,25 | 1,95 |
| 18.00 | 017 | ობერჰაუზენი-ლიუბეკი | 1,7 | 3,3 | 4,8 | 1,12 | 1,25 | 1,95 |
| 18.00 | 018 | როიტლინგენი-ალენი | 1,7 | 3,3 | 4,8 | 1,12 | 1,25 | 1,95 |
| 18.00 | 019 | ფიურტი-დუისბურგი | 2,15 | 3,1 | 3,3 | 1,26 | 1,3 | 1,59 |
| 18.00 | 020 | ბურგჰაუზენი-ტრირი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |

**27 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.15 | 021 | ფრაიბურგი-ალემანია | 1,65 | 3,2 | 5,6 | 1,08 | 1,27 | 2,03 |

**ინგლისი. I დივიზიონი**

**გადადებული მატჩები**

**25 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 025 | გრიმსბი-ბრედფორდი | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| 19.00 | 026 | პრესტონი-ნოტინგემი | 2,6 | 3,0 | 2,6 | 1,39 | 1,29 | 1,39 |

**იტალია. სერია "A". XVIII ტური**

**25 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 058 | მოდენა-ატალანტა | 2,0 | 3,0 | 3,8 | 1,2 | 1,31 | 1,67 |
| 23.30 | 059 | კომო-რომა(ნეიტრ.) | 4,6 | 3,2 | 1,75 | 1,88 | 1,26 | 1,13 |

**26 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 060 | ბოლონია-ტორინო | 1,45 | 3,6 | 7,5 | 1,03 | 1,21 | 2,43 |
| | 061 | ბოლონია-ტორინო | 0:1 | 2,1 | 3,2 | 2,4 | | |
| 18.00 | 062 | ბრეშა-პარმა | 2,4 | 2,9 | 3,0 | 1,31 | 1,33 | 1,47 |
| 18.00 | 063 | ინტერი-ემპოლი | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 064 | ინტერი-ემპოლი | 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | |
| 18.00 | 065 | იუვენტუსი-პიაჩენცა | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | 066 | იუვენტუსი-პიაჩენცა | 0:1 | 1,65 | 3,3 | 3,3 | | |
| 18.00 | 067 | ლაციო-რეჯინა | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | 068 | ლაციო-რეჯინა | 0:1 | 1,65 | 3,3 | 3,3 | | |
| 18.00 | 069 | პერუჯა-კიევო | 2,35 | 3,1 | 2,9 | 1,33 | 1,29 | 1,49 |
| 23.30 | 070 | უდინეზე-მილანი | 3,5 | 3,0 | 2,1 | 1,61 | 1,31 | 1,23 |

**ესპანეთი. I დივიზიონი. XIX ტური**

**25 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 00.30 | 114 | ატლეტიკო-სოსიედადი | 2,2 | 3,1 | 3,2 | 1,28 | 1,3 | 1,57 |

**26 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 106 | ბილბაო-რეალი | 3,6 | 3,2 | 1,95 | 1,69 | 1,26 | 1,21 |
| 20.00 | 107 | ესპანიოლი-დეპორტივო | 2,7 | 3,2 | 2,4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |
| 20.00 | 108 | ოსასუნა-რასინგი | 2,0 | 3,1 | 3,6 | 1,21 | 1,28 | 1,66 |
| 20.00 | 109 | ვალენსია-სევილია | 1,5 | 3,5 | 7,0 | 1,04 | 1,23 | 2,33 |
| 20.00 | 110 | მალაგა-მალიორკა | 2,3 | 3,1 | 3,0 | 1,32 | 1,3 | 1,52 |
| 20.00 | 111 | უელვა-რაიო | 2,35 | 3,1 | 2,9 | 1,33 | 1,29 | 1,49 |
| 20.00 | 112 | ბეტისი-ვილიარეალი | 1,65 | 3,2 | 5,6 | 1,08 | 1,27 | 2,03 |
| 20.00 | 113 | ვალიადოლიდი-ალავესი | 1,9 | 3,1 | 4,0 | 1,17 | 1,28 | 1,74 |
| 23.30 | 105 | სელტა-ბარსელონა | 2,35 | 3,1 | 2,9 | 1,33 | 1,29 | 1,49 |

**ესპანეთი. II დივიზიონი. XX ტური**

**25 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 115 | ლას პალმასი-ტენერიფე | 2,0 | 2,8 | 4,2 | 1,16 | 1,35 | 1,67 |

**26 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 14.30 | 116 | ხეტაფე-სალამანკა | 2,5 | 2,9 | 2,8 | 1,34 | 1,32 | 1,42 |
| 15.00 | 117 | სარაგოსა-ეხიდო | 1,65 | 3,0 | 6,5 | 1,06 | 1,31 | 2,05 |
| 20.00 | 118 | ბადახოსი-სერესი | 2,35 | 2,9 | 3,1 | 1,29 | 1,33 | 1,49 |
| 20.00 | 119 | კომპოსტელა-ლევანტე | 2,8 | 2,7 | 2,7 | 1,37 | 1,37 | 1,35 |
| 20.00 | 120 | ეიბარი-ლეგანესი | 2,0 | 2,6 | 4,6 | 1,13 | 1,39 | 1,66 |
| 20.00 | 121 | ოვიედო-კორდობა | 1,95 | 2,8 | 4,4 | 1,14 | 1,35 | 1,71 |
| 20.00 | 122 | ფეროლი-მურსია | 2,4 | 2,7 | 3,2 | 1,27 | 1,37 | 1,46 |
| 20.00 | 123 | ტერასა-სპორტინგი | 2,25 | 2,7 | 3,5 | 1,22 | 1,36 | 1,52 |
| 20.00 | 124 | ალმერია-ალბასეტე | 2,45 | 2,8 | 3,0 | 1,3 | 1,34 | 1,44 |
| 20.00 | 125 | ნუმანსია-ელჩე | 2,5 | 2,7 | 3,0 | 1,29 | 1,36 | 1,42 |

**პორტუგალია. I ლიგა. XIX ტური**

**24 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 01.00 | 146 | აკადემიკა-ბელენენსეში | 2,35 | 3,2 | 2,8 | 1,35 | 1,27 | 1,49 |

**25 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 147 | ლეირია-მარიტიმუ | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| 22.00 | 148 | პორტუ-ბოავიშტა | 1,5 | 3,5 | 7,0 | 1,04 | 1,23 | 2,33 |
| 01.15 | 149 | სანტა კლარა-სპორტინგი | 4,6 | 3,2 | 1,75 | 1,88 | 1,26 | 1,13 |

**26 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 150 | მორეირენსე-ვარზიმი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| 20.00 | 151 | ფერეირა-ბრაგა | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 20.00 | 152 | ნასიონალი-გიმარაეში | 2,7 | 3,2 | 2,4 | 1,46 | 1,27. | 1,37 |
| 22.00 | 153 | სეტუბალი-ჟილ ვისენტე | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |
| 00.15 | 154 | ბენფიკა-ბეირა მარი | 1,15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |
| | 155 | ბენფიკა-ბეირა მარი 0:1 | 1,4 | 3,8 | 4,2 | | | |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **პორტუგალია. II ლიგა. XIX ტური** | | | | | | |
| | | **25 იანვარი** | | | | | | |
| 20.00 | 156 | პენაფიელი-შავეში | 2,05 | 3,0 | 3,6 | 1,21 | 1,3 | 1,63 |
| | | **26 იანვარი** | | | | | | |
| 19.00 | 157 | ლეცა-ნავალი | 2,7 | 2,9 | 2,6 | 1,39 | 1,32 | 1,37 |
| 19.00 | 158 | მარკუ-ალვერკა | 2,4 | 3,0 | 2,9 | 1,33 | 1,31 | 1,47 |
| 19.00 | 159 | ოვარენსე-კოვილია | 1,9 | 3,0 | 4,2 | 1,16 | 1,3 | 1,75 |
| 20.00 | 160 | მადეირა-ლამაში | 1,65 | 3,3 | 5,3 | 1,1 | 1,25 | 2,03 |
| 20.00 | 161 | მაია-ამადორა | 2,2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |
| 20.00 | 162 | ფელგეირაში-სალგეიროში | 2,9 | 3,2 | 2,3 | 1,52 | 1,28 | 1,33 |
| 20.00 | 163 | პორტიმონენსე-ფარენსე | 1,8 | 3,1 | 4,4 | 1,13 | 1,27 | 1,81 |
| 21.00 | 164 | რიუ ავე-ავეში | 1,9 | 3,1 | 4,0 | 1,17 | 1,28 | 1,74 |
| | | **ბელგია. I დივიზიონი. XIX ტური** | | | | | | |
| | | **25 იანვარი** | | | | | | |
| 23.00 | 165 | ლუვენ-ლიერსი | 2,6 | 3,3 | 2,4 | 1,45 | 1,24 | 1,38 |
| 23.00 | 166 | გენტი-მუსკრონი | 1,8 | 3,4 | 3,8 | 1,17 | 1,22 | 1,79 |
| 23.00 | 167 | მეხელენი-ანდერლეხტი | 6,0 | 3,8 | 1,4 | 2,32 | 1,13 | 1,02 |
| 23.00 | 168 | ბევერენი-ბრიუგე | 6,0 | 3,8 | 1,5 | 2,32 | 1,2 | 1,07 |
| 23.00 | 169 | ლომელი-სტ.ტრუიდენი | 3,1 | 3,3 | 2,15 | 1,59 | 1,26 | 1,3 |
| 23.00 | 170 | ვესტერლო-მონსი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| | | **26 იანვარი** | | | | | | |
| 18.00 | 171 | გენკი-ანტვერპენი | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| 18.00 | 172 | სტანდარდი-შარლერუა | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 173 | სტანდარდი-შარლერუა 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| 23.00 | 174 | ბეერსხოტი-ლოკერენი | 2,5 | 3,4 | 2,4 | 1,44 | 1,22 | 1,4 |
| | | **ინგლისი. თასი. IV ეტაპი** | | | | | | |
| | | **25 იანვარი** | | | | | | |
| 16.30 | 198 | ჯილინგემი-ლიდსი | 4,4 | 3,5 | 1,7 | 1,94 | 1,22 | 1,14 |
| 19.00 | 199 | ბლექბერნი-სანდერლენდი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 19.00 | 200 | ბრენტფორდი-ბარნსლი | 2,6 | 3,1 | 2,5 | 1,41 | 1,27 | 1,38 |
| 19.00 | 201 | ფარნბორო-არსენალი | 25,0 | 8,0 | 1,05 | 6,06 | 1 | 1 |
| 19.00 | 202 | ნორვიჩი-დაგ ენ დრედი | 1,15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |
| 19.00 | 203 | როჩდეილი-ქოვენტრი | 4,8 | 3,5 | 1,65 | 2,02 | 1,22 | 1,12 |
| 19.00 | 204 | შეფილდი-იფსვიჩი | 1,95 | 3,3 | 3,5 | 1,22 | 1,25 | 1,69 |
| 19.00 | 205 | საუთჰემპტონი-მილუოლი | 1,4 | 3,8 | 8,0 | 1,02 | 1,19 | 2,57 |
| 19.00 | 206 | უოლსოლი-უიმბლდონი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 19.00 | 207 | უოტფორდი-ვესტ ბრომვიჩი | 2,45 | 3,3 | 2,5 | 1,4 | 1,23 | 1,42 |
| 19.00 | 208 | ვულვერჰემპტონი-ლესტერი | 2,4 | 3,1 | 2,8 | 1,35 | 1,29 | 1,47 |
| | | **26 იანვარი** | | | | | | |
| 17.00 | 209 | მანჩესტერი-ვესტ ჰემი | 1,2 | 5,3 | 12,5 | 1 | 1,09 | 3,72 |
| 18.00 | 210 | ფულემი-ჩარლტონი | 2,15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |
| 19.00 | 211 | სტოკი-ბორნმუთი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 20.00 | 212 | კრისტალ პალასი-ლივერპული | 4,6 | 3,4 | 1,7 | 1,95 | 1,24 | 1,13 |
| 22.30 | 213 | შრუსბერი-ჩელსი | 7,5 | 4,4 | 1,35 | 2,77 | 1,14 | 1,03 |
| | | **იტალია. თასი. 1/4 ფინალი. II მატჩები** | | | | | | |
| | | **23 იანვარი** | | | | | | |
| 24.00 | 219 | პერუჯა-იუვენტუსი | 3,0 | 2,9 | 2,4 | 1,47 | 1,33 | 1,31 |
| | | **ესპანეთი. თასი. ¼ ფინალი. I მატჩები** | | | | | | |
| | | **23 იანვარი** | | | | | | |
| 00.30 | 223 | რეალი-მალიორკა | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **საბერძნეთი. თასი** | | | | | | |
| | | **1/8 ფინალი. II მატჩები** | | | | | | |
| | | **23 იანვარი** | | | | | | |
| 19.00 | 244 | პანილიაკოსი-ეგალეო | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 21.30 | 245 | აპოლონი-აეკ | 5,3 | 3,8 | 1,55 | 2,21 | 1,19 | 1,1 |
| | | **ჰოკეი. ჩეხეთი** | | | | | | |
| | | **24 იანვარი** | | | | | | |
| 20.00 | 620 | ვსეტინი-ვიტკოვიცე | 2,15 | 4,2 | 2,35 | 1,42 | 1,12 | 1,5 |
| 20.00 | 621 | ჰავირჟოვი-ზლინი | 3,3 | 4,6 | 1,6 | 1,92 | 1,07 | 1,18 |
| 20.30 | 622 | ბუდეიოვიცე-ლიბერეცი | 1,6 | 4,6 | 3,5 | 1,18 | 1,09 | 1,98 |
| 20.30 | 623 | ლიტვინოვი-პარდუბიცე | 2,4 | 4,2 | 2,1 | 1,52 | 1,12 | 1,39 |
| 20.30 | 624 | პლზენი-სპარტა | 2,4 | 4,2 | 2,1 | 1,52 | 1,12 | 1,39 |
| 20.30 | 625 | კარლოვი ვარი-ტრჟინეცი | 2,0 | 4,2 | 2,5 | 1,35 | 1,11 | 1,56 |
| 21.00 | 626 | სლავია-ზნოიმო | 1,5 | 4,6 | 4,2 | 1,13 | 1,1 | 2,19 |
| | | **ჰოკეი. გერმანია** | | | | | | |
| | | **23 იანვარი** | | | | | | |
| 22.30 | 645 | ფრანკფურტი-დიუსელდორფი | 2,3 | 4,2 | 2,2 | 1,48 | 1,12 | 1,44 |
| | | **24 იანვარი** | | | | | | |
| 22.30 | 646 | კასელი-ჰანოვერი | 1,65 | 4,4 | 3,4 | 1,2 | 1,11 | 1,91 |
| 22.30 | 647 | ინგოლშტადტი-იზერლონი | 2,25 | 4,2 | 2,35 | 1,46 | 1,14 | 1,5 |
| 22.30 | 648 | კიოლნი-აისბარენი | 2,05 | 4,2 | 2,45 | 1,37 | 1,11 | 1,54 |
| 22.30 | 649 | აუგსბურგი-კრეფელდი | 2,25 | 4,2 | 2,25 | 1,46 | 1,12 | 1,46 |
| 22.30 | 650 | ჰამბურგი-მანჰაიმი | 2,4 | 4,2 | 2,1 | 1,52 | 1,12 | 1,39 |
| 22.30 | 651 | ნიურნბერგი-შვენინგი | 1,35 | 5,0 | 5,0 | 1,06 | 1,06 | 2,5 |
| | | **ჰოკეი. შვედეთი** | | | | | | |
| | | **23 იანვარი** | | | | | | |
| 22.00 | 660 | ფრიოლუნდა-ბრიუნესი | 1,4 | 4,8 | 4,8 | 1,08 | 1,08 | 2,4 |
| 22.00 | 661 | ლინჩიოპინგი-მოდო | 2,2 | 4,2 | 2,3 | 1,44 | 1,12 | 1,48 |
| 22.00 | 662 | ტიმრო-იურგორდენი | 2,0 | 4,2 | 2,5 | 1,35 | 1,11 | 1,56 |
| 22.00 | 663 | ჰვ 71-ფერიესტადი | 2,45 | 4,2 | 2,05 | 1,54 | 1,11 | 1,37 |
| 22.00 | 664 | ლეკსანდი-სიოდერტელიე | 1,75 | 4,2 | 3,1 | 1,23 | 1,11 | 1,78 |
| 22.00 | 665 | ლულეო-მალმიო | 1,7 | 4,2 | 3,3 | 2,09 | 1,84 | 1,84 |

## ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

**25.01 18.30 2601 გერმანია ბლ. (XVIII ტური)**
25 ან ნაკლები – 1,9, 27 ან მეტი – 1,9
**25.01 21.00 2602 იტალია "A" (XVIII ტური)**
23 ან ნაკლები – 1,9, 25 ან მეტი – 1,9
**25.01 00.30 2603 ესპანეთი Iდ. (XIX ტური)**
25 ან ნაკლები – 1,9, 27 ან მეტი – 1,9
**24.01 01.00 2605 პორტუგალია Iლ. (XIX ტური)**
23 ან ნაკლები – 1,9, 25 ან მეტი – 1,9
**25.01 23.00 2606 ბელგია Iდ. (XIX ტური)**
26 ან ნაკლები – 1,9, 28 ან მეტი – 1,9

**ხელბურთი. მჩ (პორტუგალია). ჩემპიონი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 901 | დანია | 2,8 | 913 | სლოვენია | 50,0 |
| 902 | რუსეთი | 5,0 | 914 | უნგრეთი | 70,0 |
| 903 | გერმანია | 5,0 | 915 | პოლონეთი | 100,0 |
| 904 | შვედეთი | 5,0 | 916 | ალჟირი | 250,0 |
| 905 | საფრანგეთი | 6,0 | 917 | მაროკო | 400,0 |
| 906 | იუგოსლავია | 10,0 | 918 | ავსტრალია | 500,0 |
| 907 | ესპანეთი | 12,0 | 919 | არგენტინა | 500,0 |
| 908 | ხორვატია | 15,0 | 920 | ბრაზილია | 500,0 |
| 909 | ისლანდია | 25,0 | 921 | გრენლანდია | 500,0 |
| 910 | ტუნისი | 30,0 | 922 | კუვეიტი | 500,0 |
| 911 | ეგვიპტე | 40,0 | 923 | ს.არაბეთი | 500,0 |
| 912 | პორტუგალია | 40,0 | 924 | კატარი | 500,0 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# ჩემპიონები და თასის აღება

**ჩემპიონთა თასი**

**18 თებერვალი (23.45)**

| | | |
|---|---|---|
| 001 | რეალი | 5.0 |
| 002 | მანჩესტერი | 5.0 |
| 003 | მილანი | 5.0 |
| 004 | არსენალი | 6.0 |
| 005 | იუვენტუსი | 7.0 |
| 006 | ბარსელონა | 7.0 |
| 007 | ინტერი | 7.0 |
| 008 | ვალენსია | 8.0 |
| 009 | დეპორტივო | 20.0 |
| 010 | დორტმუნდი | 20.0 |
| 011 | აიაქსი | 25.0 |
| 012 | რომა | 40.0 |
| 013 | ლევერკუზენი | 75.0 |
| 014 | ნიუკასლი | 75.0 |
| 015 | ლოკომოტივი | 250.0 |
| 016 | ბაზელი | 500.0 |

**უეფას თასი**

**20 თებერვალი (21.15)**

| | | |
|---|---|---|
| 021 | ლაციო | 3.0 |
| 022 | ლივერპული | 3.0 |
| 023 | ჰერტა | 8.0 |
| 024 | პორტუ | 10.0 |
| 025 | სელტიკი | 10.0 |
| 026 | მალაგა | 10.0 |
| 027 | პანათინაიკოსი | 15.0 |
| 028 | ოსერი | 15.0 |
| 029 | შტუტგარტი | 15.0 |
| 030 | ანდერლეხტი | 15.0 |
| 031 | აეკ | 15.0 |
| 032 | ბეშიქთაში | 20.0 |
| 033 | სლავია | 30.0 |
| 034 | ბოავიშტა | 30.0 |
| 035 | დენიზლი | 50.0 |
| 036 | ვისლა | 50.0 |

**გერმანია**

**ბუნდესლიგა**

**25 იანვარი (18.30)**

| | | |
|---|---|---|
| 041 | ბაიერნი | 1,05 |
| 042 | დორტმუნდი | 5.0 |
| 043 | ვერდერი | 10.0 |
| 044 | შალკე | 20.0 |

**ჰოლანდია. I დივიზიონი**

**29 იანვარი (23.00)**

| | | |
|---|---|---|
| 101 | პსვ | 1.55 |
| 102 | აიაქსი | 2,0 |
| 103 | ფეიენოორდი | 10,0 |

**თურქეთი. I ლიგა**

**29 იანვარი (15.30)**

| | | |
|---|---|---|
| 131 | გალათასარაი | 1.8 |
| 132 | ბეშიქთაში | 1.8 |
| 133 | ფენერბაჰჩე | 4,0 |

**შოტლანდია**

**პრემიერლიგა**

**28 იანვარი (23.45)**

| | | |
|---|---|---|
| 141 | რეინჯერსი | 1,5 |
| 142 | სელტიკი | 2,1 |

**დანია. სუპერლიგა**

**1 თებერვალი (18.00)**

| | | |
|---|---|---|
| 151 | კოპენჰაგენი | 1,05 |
| 152 | ბრიონდბიუ | 4,0 |
| 153 | ოლბორგი | 10,0 |

**რომელი ქვეყნის კლუბი**

**აიღებს ჩემპიონთა თასს**

**18 თებერვალი (23.45)**

| | | |
|---|---|---|
| 181 | ესპანეთი | 2.0 |
| 182 | ინგლისი | 2.5 |
| 183 | იტალია | 2.5 |
| 184 | გერმანია | 15,0 |

**ჰოკეი. NHL. სტენლის თასი**

**1 თებერვალი (24.00)**

| | | |
|---|---|---|
| 201 | დეტროიტი | 3,5 |
| 202 | დალასი | 4,0 |
| 203 | ფილადელფია | 5,0 |
| 204 | ბოსტონი | 6.0 |
| 205 | ნიუ ჯერსი | 7,0 |
| 206 | კოლორადო | 8,0 |
| 207 | ოტავა | 10.0 |
| 208 | ვანკუვერი | 12.0 |
| 209 | სენტ ლუისი | 12,0 |
| 210 | ტამპა ბეი | 15,0 |
| 211 | მინესოტა | 15,0 |
| 212 | ტორონტო | 20.0 |
| 213 | კაროლინა | 20.0 |
| 214 | ლოს ანჯელესი | 20,0 |
| 215 | ვაშინგტონი | 30,0 |
| 216 | სან ხოსე | 30,0 |
| 217 | მონრეალი | 40.0 |
| 218 | ანაჰაიმი | 50,0 |
| 219 | პიტსბურგი | 50.0 |
| 220 | ჩიკაგო | 50,0 |
| 221 | ედმონტონი | 50,0 |
| 222 | რეინჯერსი | 100,0 |
| 223 | ფლორიდა | 150,0 |
| 224 | აილენდერსი | 150.0 |
| 225 | ფინიქსი | 200.0 |
| 226 | კოლუმბუსი | 200,0 |
| 227 | კალგარი | 300,0 |
| 228 | ბუფალო | 300.0 |
| 229 | ატლანტა | 500,0 |
| 230 | ნეშვილი | 500,0 |

**კალათბურთი. NBA. თასი**

**1 თებერვალი (24.00)**

| | | |
|---|---|---|
| 231 | დალასი | 3,0 |
| 232 | საკრამენტო | 3,0 |
| 233 | ლეიკერსი | 4,0 |
| 234 | ნიუ ჯერსი | 10,0 |
| 235 | ინდიანა | 10,0 |
| 236 | სან ანტონიო | 10,0 |
| 237 | ფილადელფია | 15,0 |
| 238 | ბოსტონი | 15.0 |
| 239 | ორლანდო | -25,0 |
| 240 | ნიუ ორლეანი | 25,0 |
| 241 | დეტროიტი | 25,0 |
| 242 | პორტლენდი | 35,0 |
| 243 | ჰიუსტონი | 35,0 |
| 244 | მინესოტა | 50,0 |
| 245 | სიეტლი | 50,0 |
| 246 | ფინიქსი | 75,0 |
| 247 | მილუოკი | 75,0 |
| 248 | იუტა | 75,0 |
| 249 | ატლანტა | 100,0 |
| 250 | ვაშინგტონი | 100,0 |
| 251 | ტორონტო | 150,0 |
| 252 | ნიუ იორკი | 150,0 |
| 253 | კლიპერსი | 150.0 |
| 254 | მაიამი | 200,0 |
| 255 | ჩიკაგო | 500,0 |
| 256 | გოლდენ სტ. | 999,0 |
| 257 | მემფისი | 999,0 |
| 258 | დენვერი | 999,0 |
| 259 | კლივლენდი | 999,0 |


სარბიელი

სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

კროკო

*ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.*

## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | ნინოშვილის? ნინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრინის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1° კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „იმერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | ცხინვალის გზატკეცილი №11 | წმინდანწყლის დასახლება |
| | სტალინის ქუჩა № 14 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | მარტავას ქუჩა №7 | |
| | კოსტავას გამზირი №23 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №66 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| | ალმაშენებლის ქუჩა № 21 | (სავაჭრო ცენტრი ალამი 1) |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 13 | |
| ხელვაჩაური | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით აღმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| ქობულეთი | სასტუმრო „ივერიის" მიმდებარე ტერიტორია | |
| სარფი | საბაჟო პუნქტის პირდაპირ | |

## სამ თბილისურ ბიუროში

კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი № 3;

ვაჟა ფშაველას გამზირი №46 (მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან", ყოფილი „დელისი");

დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, I° კორპუსი

კროკომ შემდეგში სამუშაო დრო გაახანგრძლივა

**შაბათი 12.00–21.30 კვირა 12.00–20.30**

## ავსტრალიის ღია პირველობა 2003

# მატჩი უდაბნო შკიდმეგანო და ჩამხობილი ბედშინი



REUTERS მელბურნიდან

რაინერ შუტლერი

**მეოთხედფინალი**

**კაცები**

**რაინერ შიუტლერი (31, გერმანია) — დავიდ ნალბანდიანი (10, არგენტინა) 6:3, 5:7, 6:1, 6:0; ენდი როდიკი (9, აშშ) — იუნეს ელ აინაუი (18, მაროკო) 4:6, 7:6 (7:5), 4:6, 6:4, 21:19**

**ქალები**

**სერენა უილიამსი (1, აშშ) — მეგენ შონესი (25, აშშ) 6:2, 6:2; კიმ კლაისტერსი (4, ბელგია) — ანასტასია მისკინა (8, რუსეთი) 6:2, 6:4**

## მეხუთე გერმანელი

ტრავმირებულ ტომი ჰაასისა და ნიკოლას კიფერის არყოფნაში გერმანული საჩოგბურთო დროშა დროებით 26 წლის რაინერ შიუტლერმა ჩაიბარა. როგორც მის მიერ მელბურნ პარკში ნათამაშებმა ხუთმა მატჩმა ცხადყო, იგი არც ისე ურიგო მებაირახტრე ყოფილა. გუშინ შიუტლერი გახდა მეხუთე გერმანელი, ვინაც 1968 წლიდან — ანუ ღია პირველობათა ერაში — მელბურნულ ნახევარფინალს უწია.

სანახევარფინალო საგზური მან დავიდ ნალბანდიანს, უიმბლდონის შარშანდელ ფინალისტს წაჰგვარა. ქერა არმენოგაუჩო დაუღალავად, ჩოგანჩაუხრელად მებრძოლ გერმანელს მხოლოდ პირველ სეტებში გაუძალიანდა, მერე კი ილაჯი მოისაკლისა და თანდათან ჩაყვინთა.

შიუტლერი მეტოქეზე სალად და ყინჩად გამოიყურებოდა და თუკი ერთი სეტი მაინც დათმო, ისიც — მიჯრით დაშვებული ორმაგი შეცდომების გამო. თორემ ჯამში მან ნალბანდიანზე ნაკლები მიჰქარა (30 41-ის წილ) და მეტი საქულე დარტყმა გააკეთა (34 15-ის წინააღმდეგ).

ერთი სიტყვით, გამარჯვება მასზე ალალი იყო და არც დაეყვედრებოდა.

შიუტლერი: „ნახევარფინალში ჩემი მოხვედრა იღბლის ამბავიცაა. გახსოვთ — მესამე წრეში მარატ საფინს უნდა შევხვედროდი, მას კი მაჯა ასტკივდა და ვერ ითამაშა... მაგრამ მარტო იღბლითაც რომ არაფერი გამოდის? თავადვე ნახეთ, დღეს შლეგიანივით ვიმუშავე — ვირბინე და ვირბინე. ასე რომ, ბოლო ოთხეულში მთლად დაუმსახურებლადაც არ გავსულვარ. თუმცა, ასეა თუ ისე, მაინც ბედნიერი ვარ და მომდევნო შეხვედრასაც საუკეთესო განწყობით შევეგებები".

„ცხადია, გერმანიაში ელიან დიდ საჩოგბურთო წარმატებებს. ჯერ არც ისე დიდი დრო გასულა ბორის ბეკერის, მიხაელ შტიხისა და შტეფი გრაფის გამარჯვებების შემდეგ. ვიეთნი ამბობენ, რომ წინა და ამჟამინდელ თაობებს შორის გადაულახავი ნაპრალია, მაგრამ ეს სწორი არ უნდა იყოს. ჩვენ ნიკოლას კიფერი გვყავს, რომელიც უდავოდ ნიჭიერი მეჩოგნეა, ან ეგებ ვინმეს დაავიწყდა, რომ ტრავმისა და მშობლების ავარიაში მოხვედრის მიუხედავად ტომი ჰაასი შარშან დიდი ხნის განმავლობაში ინარჩუნებდა რეიტინგსიის მეორე საფეხურს?".

მოკლედ — შიუტლერის თქმით — ის, რომ გერმანელები მათ მეჩოგნეთა სლემწარმატებებს ელიან, სავსებით კანონზომიერი ამბავი ყოფილა. საქმე ახლა ისაა, შეძლებს თუ არა თავად იგი ამ მოლოდინის გამართლებას...

ამაზე პირველ პასუხს ხვალ — მისი და 20 წლის ამერიკელი ყრმის, ენდი როდიკის სანახევარფინალო შეხლის შემდეგ შევიტყობთ.

მანამდე კი იმის ცოდნა ხამს, რომ ერთმანეთში მათ აქამდე მხოლოდ ერთხელ, შარშან, ჰ ამბურგულ თიხნარზე უთამაშიათ და მაშინ როდიკმა 6:4, 6:4 იმარჯვა; რომ ნალბანდიანს შიუტლერმა მეოთხე შეხვედრაში მესამე მარცხი აგემა და რომ მისი საუკეთესო აქამომდელი სლემმიღწევა 2001 წელს ავსტრალიის ღია პირველობისავე მეოთხე წრეში გასვლა იყო.

ჰო, მართლა: ნახევარფინალში გერმანელმა შარშანაც ითამაშა — ტომი ჰაასს მაშინ რუსი მარატ საფინი მოერია.

## ყველაზე გრძელი

20 წლის ტეხასფლორიდელი ენდი როდიკისა და 31 წლის ეშხიანი მაღრიბელის — იუნეს ელ აინაუის შეხლამ ოთხ საათსა და 59 წუთს გასტანა. როგორც სტატისტიკა გვაუწყებს, ასეთი მრავალი, 83-გეიმიანი მატჩი ავსტრალიის ღია პირველობაზე 1971 წლის — ანუ ტურნირზე ტაიბრეიკების შემოღების შემდეგ აღარ გამართულა. როდიკმა და მისმა არაბმა მეტოქემ წინა რეკორდს ერთბაშად ათი გეიმი წაამატეს — სწორედ 73 გეიმი დასჭირდა იანიკ ნოას, რათა 1988 წელს როჯერ სმიტი დაემარცხებინა.

ხანგრძლივობის თვალსაზრისით კი რეკორდოსნობა კვლავაც დაუნარჩუნდა ბორის ბეკერსა და ომარ კამპორესეს შორის 1991 წელს ჩათამაშებულ 5 საათიანსა და 11 წუთიან განდაგანას, თუმცა როდიკ — ელ აინაუის მეხუთე სეტი, რომელმაც ორსაათნახევარს გასტანა, ამიერიდან მელბურნ პარკში ჩოგბურთის გაპროფესიულების შემდეგ (1968-დან) ნათამაშებ უგრძეს მეხუთე სეტად ჩაითვლება.

სხვაფრივ — ენდი როდიკი ბოლო 11 წლის განმავლობაში უმრწემესი ნახევარფინალისტი გახდა. მასზე უმცროსები იყვნენ ჰოლანდიელი რიხარდ კრაიჩეკი (20 წლისა და 51 დღის) და ამჟამინდელი სამხრეთაფრიკელი ნახევარფინალისტი უეინ ფერეირაც (20 წლისა და 133 დღის), როცა 1992 წელს უკანასკნელ ოთხეულში მოხვდნენ.

ახალი რეკორდის დასამყარებლად და კარიერის პირველ სლემნახევარფინალში გასასვლელად ამერიკული ჩოგბურთის ამოსულ იმედს ერთხელ მატჩბურთის გადარჩენა და ორჯერ სეტით დაწინაურებული მეტოქის დაწევა მოუხდა.

როცა უკანასკნელი გათამაშება გასრულდა, მისავათებული მეჩოგნენი ბადესთან მივიდნენ და ერთმანეთს გადაეხვივნენ.

„იუნესი დიდებული შემსრულებელია. ამ გამარჯვებისთვის მთელი ჩემი ილაჯი გავეცი" — ამბობდა მერე როდიკი.

ელ აინაუი კი ასე ეპასუხებოდა: „წაგების მიუხედავად მე მაინც ძალზედ ბედნიერი ვარ"

ცხადია, სათქმელი ორივეს გაცილებით მეტი ჰ ქონდა. ამ თამაშს ალბათ მომავალ დღეებშიც მოვუბრუნდებით...

აქ კი მხოლოდ იმასღა დავსძენთ, რომ გადამწყვეტ სეტში როდიკმა მაროკოელს გეიმი ორჯერ გაუტეხა, მაგრამ თუკი პირველ ჯერზე, როცა 11:10 იგებდა, საკუთარი ისევ გაათანაბრებინა, მეორეჯერ ჩოგანი აღარ აჰკანკალებია. ამ დროისთვის უკვე აღარც ელ აინაუის ჰქონდა მისთვის ბოლომდე შეწინააღმდეგების თავი.

როდიკმა მეტოქის წილი კორტი 27 ეისითა და ჯამში 102 საქულე დარტყმით მოაოხრა. მისი მეტოქის მონაგარმა 25 ეისი და 107 საქულე დარტყმა შეადგინა. დიდი განსხვავება მხოლოდ შეცდომებში გამოიკვეთა — ჭაბუკმა ამერიკელმა ბრძენი მეტოქის 55 იაღლიშის სანაცვლოდ მხოლოდ 31-ჯერ მიჰქარა.

## ტრანსატლანტური წყვილები

მაშ ასე: ზედიზედ მეოთხე შიდაღური სლემფინალისთვის ბრძოლა სერენა და ვინუს უილიამსებს ბელგიელ თანამემამულეებთან — შესაბამისად, მეოთხე ნომრად განთესილ კიმ კლაისტერსსა და რანგით მისმომდევნო ჩოგნის მქნეველ ჟუსტინ ენენ-არდენთან მოუწევთ.

ამგვარ ტრანსატლანტიკურ სანახევარფინალო სიმეტრიას საფუძველი გუშინწინ, ვინუსისა და ენენ-არდენის გამარჯვებებით დაედო, გასრულებით კი გუშინ გასრულდა, როცა სერენამ თვისტომ მეგან შონესის გადაუარა, კიმმა კი კადნიერ რუსს, ხათქუნა ანასტასია მისკინას აჯობა.

ამ ტურნირზე ეს სერენას საუკეთესო მატჩი იყო — შონესიმ, ვინაც ღია პირველობის დაწყებამდე კანბერის ტიტული მიითვალა, უმცროსი შავლის ავსტრალიელი ლოის წინააღმდეგ ვერაფერი გააწყო. რაც შეეხება კლაისტერსისა და მისკინას შეხვედრას, 19 წლის დრანცულა ბელგიელმა მასზე ორი წლით უფროს რუსგოგოს მეხუთე შეხლაში უკვე მესამედ სძლია, თუმცა უნდა ითქვას, რომ ამის გაკეთება არც ისე ადვილი ყოფილა.

კიმი გუშინ უჩვეულოდ ბევრს ცდებოდა და მატჩის ბოლოსთვის 37 უნებლიე მიქარვაც დაიგროვა, მაგრამ სანაცვლოდ მისკინას 9 საქულე დარტყმის წილ 27-ჯერ დაარტყა ზუსტად. უკანასკნელ 25 მატჩში ეს მისი 24-ე გამარჯვებაა და ნახევარფინალამდე სეტისწაუგებლად მისულმა მეტოქეებს ჯამში მხოლოდ 16 გეიმი დაუთმო. მელბურნში ჩასვლამდე მან სიდნეის ტურნირზეც იმარჯვა და შტეფი გრაფის, მონიკა სელეშისა და მარტინა ნავრატილოვას შემდეგ მეოთხე ქალი შეიქნა, ვინაც უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში ზედიზედ სამი ტურნირის აოხრება შეძლო.

სხვათა შორის, ეს სამტიტულიანი სერია ლოს ანჯელესში, ქალთა სეზონის შემაჯამებელ ჩემპიონატზე დაიწყო, რომლის ნახევარფინალში კიმმა ფეხმტკივან (და მატჩის დროზე ადრე შემწყვეტ) ვინუსს მოუგო, ფინალში კი — მანამდე ლამის უძლეველად შერაცხულსა და სამი სლემტიტულის მიმთვლელ სერენას.

ამ შთამბეჭდავი ფაქტების გარდა არის კიდევ ერთი გარემოება, რაიც კიმს ოზური ლიანგის უდავო ფავორიტად აქცევს — მისი და ლეიტონ ჰ იუიტის სიყვარული...

მისკინა: „ამ მომენტისთვის ის მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშეა. ჩემი აზრით, ის ახლა ვისაც არ უნდა ხვდებოდეს, უეჭველად მომგებია. სერენა მან ორი თვის წინაც დაჩოგნა და ამის გასაკეთებლად ახლაც საუცხოო შანსები აქვს... თავს აქ იგი ისე გრძნობს, როგორც მშობლიურ კორტებზე, ხალხი მას ჰალალად ემხრობა და ეს კიდევ ერთი მიზეზია საიმისოდ, რათა გამარჯვება მას ვუწინასწარმეტყველოთ. ისე, ცუდი შანსები არც ჟუსტინს უნდა ჰქონდეს... და საერთოდაც — ჩვენს ამქარში უკვე ბევრია ისეთი მეჩოგნე, ვისაც მათი ძლევა ხელეწიფება".

კლაისტერსი: „ასეთი მხარდაჭერით თამაშს მართლაც არაფერი სჯობს. დედაჩემიც აქ არის და ჩემი მეგობრიც — დღეს მატჩზე ბელგიელებიც იყვნენ. ყოველთვის კარგია, როცა ასე გქომაგობენ. განსაკუთრებით იმან მამა, რომ დღეს შეხვედრას ლეიტონიც ესწრებოდა... რაც შეეხება შავებსა და დანარჩენ ქალმოჩოგნეებს შორის არსებულ ნაპრალს, ის — ცხადია — მცირდება, მაგრამ ჰალალად გითხრათ, მე უკვე მაგრად დავიღალე ამ კითხვებზე პასუხით. ყოველ დღე ერთი და იგივე: „როგორ უნდა სძლიოს ვინმემ უილიამსებს?", „რა არის მათ დასამარცხებლად საჭირო?" და ასე შემდეგ... მე ეს არ ვიცი. ერთადერთი, რაც შემიძლია გითხრათ, საკუთარი თავის უნდა გწამდეს და ყოველ მატჩში, სულ ერთია, მათ ეთამაშები თუ ვინმე სხვას, ყოველი შანსისთვის ბოლომდე უნდა იბრძოლო. ასე კი, მათთან ყოველთვის ბევრი სირთულე გიწევს და კარგია, თუკი წინა შეხვედრებში [illegible] დაგეხმარება. ამ თვალსაზრისით ახლა ყველაფერი რიგზე მაქვს — ხუთი მატჩიდან არც ერთი [illegible] არ მქონია და ძალიან არც ერთში დავხარჯულვარ".

სერენა: „კიმი [illegible] ჯოდია, თანაც ისეთი კარგი ვინმეა, რომ მასთან [illegible] დავის პერსპექტივა ძალიან მხიბლავს. ცხადია, მოსაგებად ვითამაშებ და მსურს, გადამწყვეტ მატჩში ისევ ჩემს დას შევხვდე... ვიმთან ამ მატჩის წინ შეხვედრაზე სულაც არ ვფიქრობ — ეს ღმერთის საქმეა, მე კი უბრალოდ ბურთი [illegible]. ის ახლა ძალიან, ძალიან კარგ ფორმაშია. მაგრამ, ვფიქრობ, ფავორიტად ალბათ მაინც მე უნდა მივიჩნეოდე — რანგისა და ჩემი პირადი „ბალანსიდან" გამომდინარე. თუმცა ისიც საიქმელია, რომ როგორიც უნდა ყოფილიყო წარსული, სასამართლოდ ეს მაინც ბევრს არ ნიშნავს".

კიმისა და სერენას „ხაზი წარსული" კი ასეთი გახლავთ — შვიდი მატჩიდან ამერიკელს პირველ ექვსში უმარჯვია და ზუსტად რომ კიმის მიერ მისი ლოს ანჯელესური ფინალში ძლევა გახსენით, ეს სწორედ მათი მეშვიდე შეხვედრა იყო.

შედარებით უთანასწორო ერთმანეთში ვინუსის და ენენ-არდენის — თანაფარდობა აქაც ამერიკელის [illegible] განსხვავებით, რომ ბელგიელმა აქ შვიდიდან პირველი მოიგო, უკანასკნელი ექვსი კი წააგო.

მათ მორიგ შეხვედრაზე ჟუსტინი ამბობს, რომ ვინუსთან თამაში ძალიან მოსწონს (?), რომ მას ყველაფერი აქვს, რაც მოგებისთვის საჭიროა და თანაც — არაფერი დასაკარგი. ვინუსი კი ჯანსაღ და ეს ჰანტუხოვასთან შეხვედრაში [illegible] 201 კილომეტრიანი მიწოდებითაც ცხადყო. ხოლო კითხვაზე, აგონებს თუ არა ბელგია მას რამე სხვას, კიმთან და ჟუსტინთან ჩოგბურთის გარდა, მან [illegible] ასე მიუგო: „დიახ — მე ვფიქრობ, რომ მათ კიდევ კარგი შოკოლადი და ასე... ჰო, ვაფლი აქვთ".

და ბოლოს [illegible] აქ ჰანტუხოვაც მოიგონა, სულ ბოლოს ბარემ მასზეც [illegible] როგორც გაირკვა, ეს 19 წლის გრძელფეხება სლოვაკი ინტერნეტში ანა კურნიკოვაზე უფრო „ძებნილი" და სასურველი ქალი ყოფილა. ერთი კვირის წინ რუსი სექსსიმბოლო ჩოგბურთის მოყვარულების ამბავში მის [illegible] 8-9 ათასი „მნახველი" ესწრებოდა. სამაგიეროდ კი ირკვევა, რომ ჰ ანტუხოვას მისამართად [illegible] თავები სულ 86 288-ჯერ დაუწკაპუნებიათ, მაშინ როცა ანას [illegible] რაოდენობა იყო 79 976 უფრის.

საქმეში ჩახედული ხალხი ვარაუდობს, რომ სლოვაკს მეოთხედფინალამდე ჩოგნით არავი, მაშინ როცა ანა უკვე მეორე წრიდანვე გავარდა და საკუთარი სხეულებრივი ბარაქის [illegible] გაცილებით ნაკლები ხალხის ყურადღება მიიპყრო.

**ლევან ძელაურაძე**



REUTERS მელბურნიდან

კიმ კლაისტერსი



REUTERS მელბურნიდან

სერენა უილიამსი

**NBA რეგულარული ჩემპიონატი**

# ვაი იაოს! გრძელ ჩინელს რიფ ლაფრენცმა ლაფი დაასხა

21 იანვარი

**საკრამენტო 109:102 ნიუ ჯერსი**
**საკრამენტო:** ვებერი (36 ქულა, 15 მოხსნა, 8 პასი), სტოიაკოვიჩი (26)
**ნიუ ჯერსი:** კიდი (27), ჯეფერსონი (19), მარტინი (17)

**კლივლენდი 94:103 ორლანდო**
**კლივლენდი:** ილგაუსკასი (35 ქულა, 12 მოხსნა), ვაგნერი (14)
**ორლანდო:** მაკგრეიდი (35 ქულა, 11 მოხსნა, 6 პასი), გარიტი (20)

**დალასი 107:86 ჰიუსტონი**
**დალასი:** ნოვიცკი (26), ნეში (20 ქულა, 8 პასი), ფინლი (19)
**ჰიუსტონი:** ფრენსისი (26), მობლი (19)

ახლახან „საკრამენტომ" კალიფორნიიდან შერცხვენილი გაისტუმრა შუალასავლური დივიზიონისა და სრული ლიგის ლიდერი „დალას მავერიკსი", გუშინწინ კი საკრამენტოს ატლანტიკის ყოჩი, „ნიუ ჯერსი" ეწვია და „მეფეებს" ვერც მან დააკლო ვერაფერი.

„ნიუ ჯერსის" ამ სეზონში თითქმის ყველა მძლეველისთვის დაუბრუნებია ხურდა. ვიცეჩემპიონებს ბოლო ისეთი 5 შეხვედრა მოუგიათ, რომელშიც მეტოქედ ამათ შორის წინა მატჩში ნაყიჩაღევი გუნდი ჰყოლიათ. სწორედ ასეთი გახლდათ „საკრამენტო", რომელსაც ორი კვირის წინ „ნიუ ჯერსი" სტუმრად 36 ქულით გაეცამტვერებინა.

ცხადია, ამ მატჩში რევანშს გეგმავდნენ „ბადეები". მათ დიდი ბრძოლა გაუმართეს „მეფეებს" თავისსავე საუფლოში, მაგრამ მოზვერა კრის ვებერის წინააღმდეგობას წააწყდნენ და 7 ქულით წააგეს. ვებერმა

სასწაულად ითამაშა, სამმაგი დუბლის შესრულებამდე ორი პასი დააკლდა, თუმცა მის მიერ მონაგრებული 36 ქულა და 15 მოხსნაც არაა ურიგო შედეგი. მატჩის შემდეგ ვებერის გარეჯით გახელებული „არკო არენა" თავისი ვარსკვლავფორვარდის სახელს გაჰყვიროდა — ქომაგი ვებერის სეზონის უძვირფასეს მოთამაშედ აღიარებას მოითხოვდა. თავად „უძვირფასესმა" ხალხის მოთხოვნას ასეთი კომენტარი გაუკეთა: „მათი მოთხოვნა ოცნებას წააგავს და მას დროებით გვერდზე გადავდებ. საუკეთესო ვერ იქნები, თუ მხოლოდ საკრამენტოში მოსწონხარ, ამისთვის სხვა ქალაქებშიც უნდა შეგიყვარონ და მედიაც კეთილგანწყობილად გეპყრობოდეს. კმაყოფილი ვარ ასეთ ძლიერ გუნდში რომ ვილწვი, ვცდილობ, ჩემი თამაში ვითამაშო".

საკრამენტოელთა ლიდერი ყოჩაღად კი გაისარჯა, მაგრამ ის მარტო არ იყო. რომ არა მისი თანაგუნდელების ძალისხმევა, ვინძლო „მეფეებს" წაეგოთ კიდეც, რადგან ნიუჯერსელთა ბურჯი ჯეისონ კიდი თამაშის იშტაზე იყო და მასპინძლებს 27 ქულა ჩაუგდო. ვებერის მმაბიჭებიდან სამაგალითოდ ითამაშა იუგოსლავიელმა პრედრაგ სტოიაკოვიჩმა. ისე კი, „საკრამენტოს" ლამწყებთაგან ყველა ასცდა 10-ქულიან ზღვარს. „პეჯამ" საამატჩოდ მონაგრებული 26 ქულის ნახევარი მესამე მეოთხედში გააკეთა, რითაც „საკრამენტოს" საიმედო ფორა დაუბევა. თუმცა სტუმრები არ გამტყდარან, მათ წინა შეხვედრაში განცდილი მწარე მარცხი აიძულებდა, „სისხლის უკანასკნელ წვეთამდე" ებრძოლათ.

კიდმა ბოლო მეოთხედის ერთ მონაკვეთში ყველა და ყველაფერი დაჩრდილა, მიყოლებით 8 ქულა გააკეთა, რასაც მკვირცხლმა კენიონ მარტინმა რამდენიმეც მიაყოლა და „ნიუ ჯერსი" თამაშის დასრულებამდე 8 წუთით ადრე 3 ქულით მიუახლოვდა „საკრამენტოს". ეს იყო სტუმართა მაქსიმუმი, რის შემდეგაც ვებერი და კომპანია მშვიდად მივიდნენ გამარჯვებამდე. მასპინძელთა მწვრთნელმა რიკ ადელმანმა ნიუჯერსელებს გარჯა შეუქო და თან დასძინა, წინა მატჩში რომ იოლად დაგამარცხეთ, დიდი მოულოდნელობა იყოო.

აი, მაჩანჩალა „კლივლენდის" „ორლანდოსთან" შინ დამარცხება არავითარი მოულოდნელობა არ ყოფილა და ეს „კავალიერზის" ახალგამომცხვარმა მწვრთნელმა კიტ სმარტმაც აღიარა. „ბიჭებთან სასაყვედურო არაფერი მაქვს, ბოლომდე იბრძოლეს, თუმცა ძლიერ მეტოქესთან ვერაფერი გააწყვეს. საგანგაშო არაფერია, ჯერ ორი დღეა დამნიშნეს და გუნდი ხეირიანად არც მივარჯიშებია" — თავს იმშვიდებდა სმარტი. „კავალერია" ლიგის მთავარბომბარდირმა ტრეისი მაკგრეიდიმ დააწიოკა — 35 ქულა ჩაუგდო მასპინძლებს. ორლანდოელმა სუპერბიჭუნამ საწყის 5 წუთში 15 ქულა მიითვალა და თითქმის მთელი შეხვედრა ეულად ეომებოდა კლივლენდელებს, რაკიღა ფლორიდელების ასევე ყოჩაღნი — გრანტ ჰილი და მაიკ მილერი თავიანთ ფეხებს შეუწუხებიათ... ჰო მართლა, „კლივლენდის" ლიტველმა გოლიათმა ჟიდრუნას ილგაუსკასმა კარიერის უმეტესი, 35 ქულა მოიხვეჭა, რაც თავისთავად აღსანიშნი მოვლენაა.

დღის მესამე შეხვედრა დალასში გათამაშდა — ლიგის ყოჩმა „მავერიკსმა" იოლად სძლია იაომინგიან „ჰიუსტონს", რითაც სამმატჩიანი უილბლო სერია შეწყვიტა. მინგი ტყუილად არ ვახსენეთ, წოწოლა ჩინელმა თავისი რამდენიმეთვიანი ნბა-ური კარიერის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი სწორედ დალასელებთან ითამაშა ნოემბერში. მაშინ მინგმა მასავით აყლაყუდა შონ ბრედლი გააბითურა და 30 ქულასთან ერთად 16 მოხსნაც მიითვალა. სრულიად განსხვავებული რამ მოხდა ამჯერად, ჩინელის მეურვეობა მასზე 15 სანტიმეტრით დაბალმა რიფ ლაფრენცმა ითავა და კარგადაც გამოუვიდა. მან სამჯერ დაუფარა დრაფტის რჩეულს და ერთხელაც სადავო გდება მოუგო. მინგი საბოლოოდ მხოლოდ 6 ქულას დასჯერდა, რაც ჰიუსტონელთა წაგებას ნიშნავდა. სტუმართა დამრიგებელმა რუდი ტომიანოვიჩმა გუნდის ჩინელი იმედის უხეირო გარჯა მინგის გადაღლას დააბრალა, თავად ჩინელმა კი დაიქადნა, მომავალ ოთხშაბათს დალასელებს შინ ვეთამაშებით და ლაფრენცის კაი ბიჭობასაც იქ დაგანახებთო.

**ირაკლი ბერტაია**



AP

მომავალი „უძვირფასესი" კრის ვებერი

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტის დივიზიონი** | | | |
| ნიუ ჯერსი | 28 | 13 | 68,3 |
| ბოსტონი | 24 | 17 | 58,5 |
| ორლანდო | 22 | 21 | 51,2 |
| ფილადელფია | 21 | 20 | 51,2 |
| ვაშინგტონი | 21 | 20 | 51,2 |
| ნიუ იორკი | 16 | 23 | 41,0 |
| მაიამი | 14 | 27 | 34,1 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| ინდიანა | 29 | 12 | 70,7 |
| დეტროიტი | 27 | 13 | 67,5 |
| ნიუ ორლეანი | 22 | 20 | 52,4 |
| მილუოკი | 19 | 21 | 47,5 |
| ჩიკაგო | 15 | 26 | 36,6 |
| ატლანტა | 14 | 27 | 34,1 |
| ტორონტო | 10 | 32 | 23,8 |
| კლივლენდი | 8 | 35 | 18,6 |

| დასავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **შუა დასავლეთის დივიზიონი** | | | |
| დალასი | 32 | 8 | 80,0 |
| სან ანტონიო | 26 | 14 | 65,0 |
| იუტა | 25 | 15 | 62,5 |
| ჰიუსტონი | 23 | 17 | 57,5 |
| მინესოტა | 23 | 18 | 56,1 |
| მემფისი | 12 | 28 | 30,0 |
| დენვერი | 10 | 30 | 25,0 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| საკრამენტო | 31 | 11 | 73,8 |
| პორტლენდი | 24 | 15 | 61,5 |
| ფინიქსი | 25 | 17 | 59,5 |
| ლეიკერსი | 19 | 21 | 47,5 |
| სიეტლი | 18 | 21 | 46,2 |
| გოლდენ სტეიტი | 17 | 23 | 42,5 |
| კლიპერსი | 15 | 25 | 37,5 |

# ლუკასს ლუკმა წაართვეს

**ტანჯული** „კლივლენდ კავალიერზის" წამებულ მწვრთნელს, აწ უკვე ყოფილს, ჯონ ლუკასს ახალი სამუშაოს მოძებნა მოუწევს. გუშინწინ ის თავის კაბინეტში დაიბარა კლუბის გენერალურმა მენეჯერმა ჯიმ პაქსონმა, რათა იქიდან და საერთოდ „კავალიერზიდან" საბოლოოდ გაეშვა.

ლუკასს კონტრაქტის მიხედვით 2004 წლის ზაფხულამდე უნდა ესარდლა „კავალერიისთვის", მაგრამ ყველამ იცოდა, რომ მას მალე ჩამოართმევდნენ ჯარს. ისედაც ჯაგლაგი „კავალერია" მის ხელში სულ დავარდა. სადღეისო შედეგით 42 თამაშში მხოლოდ 8 გამარჯვებით „კლივლენდი" ბოლო ადგილზეა სრულად ლიგაში. სიმართლე ითქვას, ამ ახალგაზრდული გუნდისგან ბევრად უკეთეს შედეგს არავინ ელოდა, მაგრამ, პაქსონის თქმით, ლუკასის გადაყენების მიზეზი ბევრ მარცხზე მეტად უპერსპექტივობის შეგრძნება გახდა.

„ლუკასის ამოცანა იყო გუნდის სათამაშო სქემა ჩამოეყალიბებინა და მისთვის ახალგაზრდები მოერგო. რამდენჯერმე მსმენია, რომ ჩვენ გუნდს უდისციპლინობა ძირავს. მე სულაც არ ვთვლი, რომ გუნდს დისციპლინა აკლია. მას ამჟამად თავი და მიმართულება უფრო სჭირდება, ვიდრე წესრიგი" — თქვა პაქსონმა. ის სეზონნახევარი აკვირდებოდა ლუკასს და მის ხელში გუნდის წინსვლა ვერ შეამჩნია. დასავლელ მაჩანჩალა „დენვერთან" 80:97 წაგებული თამაში ბოლო გამოდგა ვეტერანი მწვრთნელისთვის, მან 37 გამარჯვებითა და 87 მარცხით, მოსვლიდან წელიწადნახევარში დატოვა „კლივლენდი".



ჯონ ლუკასი ჩამოაქვეითეს

ლუკასის ადგილას პაქსონმა მისი ასისტენტი კიტ სმარტი დასვა. ეს ახალბედა 38 წლისაა და „გოლდენ სტეიტის" თავკაც ერიკ მუსელმანის გარდა ნბა-ს ყველა სხვა მთავარ მწვრთნელზე უმცროსია. სხვათა შორის, ამ რამდენიმე წლის წინ სმარტი მუსელმანის ხელქვეით თამაშობდა ქვედა ლიგაში, CBA-ის ერთ-ერთ გუნდში.

„კლივლენდი" მეორე გუნდია, რომელმაც მიმდინარე სეზონში თავი შეიცვალა. მანამდე, 26 დეკემბერს, „ატლანტა ჰოქსმა" გაუშვა მთავარი მწვრთნელი ლონ კრუგერი და მის ადგილას მისივე ასისტენტი ტერი სტოტსი ალაზევა.

*ლეიკერსელი სუპერბიჭუნა კობი ბრაიანტი შეგუებულია იმ რეალობას, რომ ამ სეზონის ბოლოსაც არ ერგება უძვირფასესი მოთამაშის სანუკვარი ტიტული. იქნებ ვერც მეოთხე ოქროს ბეჭედი მოირგოს, მისი „ლეიკერსი" ჩემპიონურად ველარ მქუხარებს, მაგრამ კობი მაინც ბედნიერია, რასაც ხორცშესხმული საკალათბურთო ამბიციები კი არა, ოჯახური სიამტკბილობა ასაზრდოებს. „ლოს ანჯელეს ლეიკერსის" 24 წლის სუპერვარსკვლავი ამ კვირადღეს მამა გახდა*

# სუპერბიჭი გოგოს მამაა

კობისა და მისი მეუღლე ვანესას სიყვარულის პირველი ნაყოფი გოგონაა. წყვილმა მას ნატალია დაარქვა. ნატალია ბრაიანტი 48 სანტიმეტრია და თითქმის სამ კილოს იწონის. „ის დედამისსა ჰგავს, დედასავით ხშირი თმა აქვს. მადლობა ღმერთს, ყველაფერმა მშვიდობით ჩაიარა — ამბობს ყურებამდე გაღიმებული მამა, რომელიც მშობიარობისას მეუღლეს თავზე ადგა და ამხნევებდა — ძალიან კი ვინერვიულე. ყველაფერი ნბა-ს ფინალური სერიის მეშვიდე მატჩს ჰგავდა. იმ განსხვავებით, რომ მე მოედანზე კი არა, მის კიდეზე, სათადარიგოთა სკამზე ვიყავი და იქიდან ვამხნევებდი ჩემ გუნდს. ეს უფრო ძნელი აღმოჩნდა. ვანესამ ივაჟკაცა ამ თამაშში; მაგარი ბურთები ჩაყარა" — კობიმ ვერ სძლია ცდუნებას და შვილის დაბადება კალათბურთს შეადარა. საიდან სადაო...

კობის დამრიგებელი ფილ ჯექსონი, როგორც ყოველთვის და ყველანაირ სიტუაციაში, ახლაც რჩევას აძლევს შეგირდს. „ღამე ადექი ხოლმე და ატირებული ბავშვი დაამშვიდე, საფენები გამოუცვალე და საერთოდ ვანესას მიეხმარე. როგორც მამა, შენ ამაზე უკეთესს ვერაფერს იზამ".

კობის ზორბა თანაგუნდელი, თავადაც გოგონას მამა და მეორე შვილის მომლოდინე შაკილ ონილიც არ გამორჩა ამ ამბავს. „ბავშვის მოვლაზე საშინელი არაფერია ამქვეყნად, ძმებო. კობი, ჯიგარო, შენ ამიერიდან შინ საგიჟეთი გექნება, მაგრამ ყოჩაღი ბიჭი ხარ და თავს გაართმევ".



მამიკო კობი ბრაიანტი

# ჩვენი ბიჭები კარგ ხალხში ტრიალებენ

**ჭაბუკთა** (19-წლამდელთა) მსოფლიოს თასი, რომელიც ყოველწლიურად იმართება, წლეულს პარიზსა და მის შემოგარენში ჩატარდება. ტურნირი 10-დან 19 აპრილამდე გასტანს. შეჯიბრის ორგანიზატორები ევროპაში რაგბის განვითარებისა (FIRA) და რაგბის საერთაშორისო საბჭოები (IRB) არიან. IRB ტურნირის მთავარი სპონსორიცაა და ბოლო ოთხ გათამაშებას 2 მილიონი გირვანქა დახარჯა.

ჭაბუკთა მსოფლიოს თასზე 32 გუნდი მონაწილეობს, რომლებიც სიძლიერის მიხედვით ორ, A და B ჯგუფებში არიან განაწილებულნი. უძლიერესი 16 გუნდი ელიტარულ A ჯგუფშია და მისი გამარჯვებული მსოფლიოს ჩემპიონი ხდება. ელიტელთაგან ორი ბოლოადგილოსანი ქვემო 16-ეულში ჩაინაცვლებს. მათ ადგილებს კი B ჯგუფის ფინალისტები დაიკავებენ.

საქართველოს ნაკრებმა საელიტო საგზური შარშანწინ მოიპოვა, როცა ფინალში რუსეთი დაამარცხა. შარშან კი ჭაბუკმა ბორჯღალოსნებმა უძლიერეებში ადგილი შეინარჩუნეს. მეტიც, დებიუტანტის კვალობაზე საპატიო მე-10 ადგილს გამოჰკრეს ხელი.

ტურნირის ფორმატი იმგვარია, რომ ყველა ადგილი თამაშდება. შეჯიბრი პლეი ოფის სისტემით იმართება და პირდაპირ მერვედფინალით იწყება.

გუშინ FIRA-მ მოაწყო კენჭისყრა და სამერვედფინალოდ გუნდები დააწყვილა. კენჭისყრით საქართველოს ნაკრები პირველ მატჩს 10 აპრილს უელსთან გამართავს. იმ უელსთან, რომელთანაც შარშან წააგო სადებიუტო მატჩი ელიტარულ ლიგაში. გამარჯვებული მეოთხედფინალში საფრანგეთსა და კანადას შორის უკეთესს შეხვდება, წაგებული კი — სუსტს.

მერვედფინალური წყვილები ასე გამოიყურება:

**ახალი ზელანდია — ნამიბია**
**იტალია — ირლანდია**
**შოტლანდია — რუმინეთი**
**არგენტინა — იაპონია**
**სამხრეთ აფრიკა — სამხ. კორეა**
**ინგლისი — რუსეთი**
**უელსი — საქართველო**
**საფრანგეთი — კანადა**

B ჯგუფში ითამაშებენ: ჩილე, ჩინეთი, გერმანია, ჰონკონგი, ლიტვა, მაროკო, პარაგვაი, პორტუგალია, ესპანეთი, ტუნისი, უკრაინა, ურუგვაი, აშშ, პოლანდია, ჩეხეთი, ტონგა.


ნუკრი ვარდოსანიძის ფოტო

ჭაბუკი ბორჯღალოსნები

ხელბურთი

Andebol Portugal'2003

## მსოფლიოს ჩემპიონატი. ვაჟები

პორტუგალია. 20 იანვარი - 2 თებერვალი

# უხეირო მოთამაშეს ბურთები უშლის ხელს

**ერთდღიანი** დასვენების შემდეგ გუნდები ამ საღამოს მესამე ტურის მატჩებს გამართავენ.

ყველასთვის მოულოდნელად, წინა ტურში ორმა ფავორიტმა წაიფორხილა. ოლიმპიურმა ჩემპიონმა რუსებმა ტურნირი მძიმედ დაიწყეს. ჯერ იყო, სასტარტო შეხვედრაში ძლივს, ერთბურთიანი სხვაობით მოუგეს უნგრეთის ახალგაზრდა ნაკრებს, მეორე დღეს კი ვერცხლისწყალივით მოძრავ არგენტინელებთან ესეც ვერ შეძლეს. თითქმის ზუსტად გამეორდა უნგრული ვარიანტი, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ თავიდანვე დაწინაურებულმა სლავებმა კინკილაბურთიანი გამარჯვების მოპოვებაც ვერ მოახერხეს. ყოფილი საბჭოთა კავშირის ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ხელბურთელის ვლადიმერ მაქსიმოვის ბიჭებმა უამრავი მიუტევებელი შეცდომა დაუშვეს, რაც მწვრთნელმა „ადიდასის“ ახალ, სრიალა ბურთებთან შეუჩვევლობით ახსნა. რუსებს ვერც მათი 40 წლის ლეგენდარული მეკარის, სამგზის ოლიმპიური ტრიუმფატორის ანდრეი ლავროვის უზადო ოსტატობამ უშველა. შედეგად, ოციოდ წუთში გაფლანგული ოთხბურთიანი უპირატესობა და უსახური ფრე — 26:26.

უარესი დაემართათ მსოფლიოს ექსჩემპიონ შვედებს. წინა პირველობის ფინალისტები მაშინდელმავე აუტსაიდერთაგანმა (მე-17 ადგილი) სლოვენიელებმა გაამწარეს. ექსიუგებმა ტიტულიან მეტოქეს თავიდანვე საკუთარი ტაქტიკა მოახვიეს თავს და ჯერ ტაიმი მოუგეს 14:12, შესვენების მერე კი ერთხელაც არ მისცეს წამოწევის საშუალება და სენსაციური მარცხი აგემეს — 29:25.

ისლანდიელებმა, რომელთა ღირსებასაც საქართველოს ნაკრების ყოფილი მეკარე როლანდ ერაძე იცავს, ზედიზედ მეორე თამაშის მოგებით (ამჯერად გრენლანდიასთან — 30:17) პრაქტიკულად გაინაღდეს გათამაშების მომდევნო ეტაპზე გასვლა. შეგახსენებთ, ყოველი ჯგუფიდან ოთხ-ოთხი საუკეთესო გუნდი გააგრძელებს ასევე წრიულად ბრძოლას პირველობისთვის.

ვითარება ორი ტურის შემდეგ:

**A ჯგუფი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| იუგოსლავია | 2 | 0 | 0 | 60:34 | 4 |
| ესპანეთი | 2 | 0 | 0 | 57:43 | 4 |
| ტუნისი | 2 | 0 | 0 | 57:44 | 4 |
| მაროკო | 0 | 0 | 2 | 42:51 | 0 |
| პოლონეთი | 0 | 0 | 2 | 45:58 | 0 |
| კუვეიტი | 0 | 0 | 2 | 34:65 | 0 |

**B ჯგუფი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 2 | 0 | 0 | 86:33 | 4 |
| ისლანდია | 2 | 0 | 0 | 85:32 | 4 |
| პორტუგალია | 2 | 0 | 0 | 65:40 | 4 |
| გრენლანდია | 0 | 0 | 2 | 36:64 | 0 |
| ყატარი | 0 | 0 | 2 | 38:71 | 0 |
| ავსტრალია | 0 | 0 | 2 | 31:101 | 0 |

**C ჯგუფი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 2 | 0 | 0 | 59:47 | 4 |
| რუსეთი | 1 | 1 | 0 | 57:56 | 3 |
| არგენტინა | 1 | 1 | 0 | 56:55 | 3 |
| ხორვატია | 1 | 0 | 1 | 54:48 | 2 |
| უნგრეთი | 0 | 0 | 2 | 54:60 | 0 |
| ს.არაბეთი | 0 | 0 | 2 | 41:55 | 0 |

**D ჯგუფი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| დანია | 2 | 0 | 0 | 61:48 | 4 |
| შვედეთი | 1 | 0 | 1 | 54:52 | 2 |
| ალჟირი | 0 | 2 | 0 | 47:47 | 2 |
| სლოვენია | 1 | 0 | 1 | 53:58 | 2 |
| ბრაზილია | 0 | 1 | 1 | 46:50 | 1 |
| ეგვიპტე | 0 | 1 | 1 | 48:54 | 1 |



## რეგულარული ჩემპიონატი

# როგორ მიყვარდი, როგორ მძულხარ!


REUTERS

ბრაიან ტროტიეს აილენდერსის ქომაგებმა გინება არ დაყლეს

**21 იანვარი**

**ბუფალო 0:0 პიტსბურგი**

პიტსბურგი მოუთმენლად ელის მარიო ლემიეს გამოჯანმრთელებას. მანამდე კი იმას ცდილობს, როგორმე შეინარჩუნოს ახლანდელი პოზიცია. არ დაეძებს, თუნდაც ამგვარი უფერული თამაშების წყალობით მიაღწიოს მიზანს. ამ მატჩში ტაბლოს ნულები რომ შემორჩა, ლემიეს გუნდის ახალბედა მეკარის, სებასტიან გარონის (34 მოგერიება) დამსახურებაა.

**აილენდერსი 0:5 რეინჯერსი 0:2 0:1 0:2**

**0:1 ბარნაბი (13), 0:2 მირონოვი (16), 0:3 ბარნაბი (21), 0:4 ბუშარი (56), 0:5 ლუნდმარკი (57)**

ამ სეზონიდან რეინჯერსს აილენდერსის ყველაზე თვალსაჩინო მოთამაშე (ცხადია, ყოფილი) ბრაიან ტროტიე თავკაცობს. ცხადია, „ნასაუ კოლიზეუმში“ მის პირველ ვიზიტს აილენდერსიც და მისი ქომაგებიც განსაკუთრებით ელოდნენ და ემზადებოდნენ კიდეც. ჯერ კიდევ თამაშისწინა ვარჯიშზე ლამის ჩხუბი ატყდა და შეხვედრამაც ფეთქებად ატმოსფეროში ჩაიარა. აილენდერსელ ქომაგებს არ გაუმართლათ — მათმა გუნდმა დავასა და პროვოკაციებში დახარჯა ენერგია, სტუმრები კი აგრესიული და ძალისმიერი თამაშით გამოირჩნენ და მთლად დაჯაბნეს მეტოქე. განსაკუთრებით მეტიუ ბარნაბიმ იყოჩაღა. მან ორი გოლი გაიტანა და ერიკ კეირნსი სუფთა, ძალისმიერი მეთოდით მწყობრიდან გამოიყვანა. პასიურად მოთამაშე აილენდერსელებისგან განსხვავებით, მათმა გულშემატკივრებმა იაქტიურეს. ისინი მთელი მატჩის განმავლობაში უსტვენდნენ მეტოქეს, ტროტიეს პლაკატებიც უფრიალეს.

„ბევრი კარგი მოგონება მაკავშირებს „ნასაუ კოლიზეუმთან“, მაგრამ დღეს ნამდვილად გაწბილებული დავრჩი. ქომაგთაგან ამგვარ სიძულვილს ნამდვილად არ ველოდი“ — თქვა მატჩის შემდეგ ნაწყენმა ტროტიემ.

**ტორონტო 1:3 ფილადელფია 0:1 0:0 1:2**

**0:1 პანდზუში (16), 1:1 მოგილნი (41), 1:2 რენიკი (50), 1:3 რეკი (55)**

**ნეშვილი 3:2 ვანკუვერი 1:0 2:0 0:2**

**1:0 პარტნელი (9), 2:0 პოლი (23), 3:0 ლეგვანდი (35), 3:1 ბერტუცი (49), 3:2 ბერტუცი (50)**

**ატლანტა 8:4 სენტ ლუისი 5:2 3:1 0:1**

**1:0 ჰიტლი (3), 1:1 ტკაჩუკი (5), 2:1 სნაიდერი (7), 3:1 ტეპერი (9), 4:1 სავარი (12), 5:1 ჰიტლი (13), 5:2 ტკაჩუკი (16), 5:3 ჯეკმანი (23), 6:3 კოვალჩუკი (32), 7:3 კაბერლე (35), 8:3 კოვალჩუკი (37), 8:4 ბოგუნიცკი (48)**

ალბათ არასდროს დაავიწყდება თავისი 22-ე დაბადების დღე დანი ჰიტლის. ატლანტის ამომავალმა ვარსკვლავმა და მისმა პარტნიორებმა შავი დღე აყარეს ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტს. თავად ჰიტლიმ, ისევე როგორც ილია კოვალჩუკმა, 2 გოლი და 1 პასი მიითვალა. საბოლოო ჯამში ცამეტმა მოთამაშემ (ზოგმა შაიბით, ზოგმა პასით) შეიტანა წვლილი ატლანტისთვის სარეკორდო გამარჯვებაში.

„ამიერიდან სხვაგვარად, განსაკუთრებული ყურადღებით მოვეკიდებით ატლანტასთან შეხვედრას. არც კი მახსოვს, ბოლოს როდის შეგვარცხვინეს ასე — თქვა სენტ ლუისის გაოგნებულმა თავკაცმა ჟოელ კენევილმა.

**სამველ ღარიბიანი**

**აღმოსავლეთის კონფერენცია**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ატლანტა** | | | | | | | |
| ფილადელფია | 47 | 27 | 8 | 1 | 11 | 120:99 | 63 |
| ნიუ ჯერსი | 45 | 27 | 3 | 3 | 12 | 115:88 | 60 |
| აილენდერსი | 47 | 21 | 5 | 2 | 19 | 131:140 | 49 |
| პიტსბურგი | 48 | 20 | 4 | 5 | 19 | 129:137 | 49 |
| რეინჯერსი | 50 | 20 | 6 | 1 | 23 | 127:147 | 47 |
| **ჩრდილო-აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| ოტავა | 47 | 30 | 5 | 1 | 11 | 158:103 | 66 |
| ტორონტო | 48 | 25 | 4 | 1 | 18 | 136:119 | 55 |
| ბოსტონი | 47 | 23 | 5 | 1 | 18 | 143:128 | 52 |
| მონრეალი | 48 | 19 | 5 | 5 | 19 | 127:142 | 48 |
| ბუფალო | 46 | 14 | 7 | 2 | 23 | 100:119 | 37 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| ვაშინგტონი | 48 | 21 | 6 | 3 | 18 | 134:133 | 51 |
| ტამპა | 47 | 19 | 6 | 4 | 18 | 131:137 | 48 |
| ფლორიდა | 47 | 14 | 9 | 8 | 16 | 108:139 | 45 |
| კაროლინა | 48 | 16 | 6 | 4 | 22 | 104:132 | 42 |
| ატლანტა | 47 | 15 | 2 | 4 | 26 | 125:172 | 36 |

**დასავლეთის კონფერენცია**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ცენტრი** | | | | | | | |
| სენტ ლუისი | 49 | 26 | 5 | 4 | 14 | 158:125 | 61 |
| დეტროიტი | 47 | 26 | 7 | 1 | 13 | 138:114 | 60 |
| ჩიკაგო | 48 | 21 | 8 | 3 | 16 | 114:113 | 53 |
| კოლუმბუსი | 47 | 18 | 4 | 2 | 23 | 136:147 | 42 |
| ნეშვილი | 47 | 15 | 8 | 4 | 20 | 104:126 | 42 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | | |
| ვანკუვერი | 48 | 28 | 5 | 0 | 15 | 151:125 | 61 |
| მინესოტა | 48 | 24 | 7 | 1 | 16 | 120:104 | 56 |
| ედმონტონი | 48 | 22 | 5 | 6 | 15 | 133:128 | 55 |
| კოლორადო | 46 | 17 | 10 | 5 | 14 | 130:122 | 49 |
| კალგარი | 48 | 16 | 7 | 3 | 22 | 103:131 | 42 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | | |
| დალასი | 48 | 26 | 11 | 1 | 10 | 147:95 | 64 |
| ანაჰაიმი | 47 | 19 | 7 | 4 | 17 | 112:115 | 49 |
| ლოს ანჯელესი | 46 | 18 | 4 | 4 | 20 | 116:129 | 44 |
| ფინიქსი | 47 | 16 | 7 | 4 | 20 | 112:132 | 43 |
| სან ხოსე | 46 | 16 | 6 | 4 | 20 | 120:141 | 42 |

**ბომბარდირები**: ლემიე (პიტსბურგი) 68(20+48), ნესლუნდი (ვანკუვერი) 61(32+29), ტორნტონი (ბოსტონი) 58(23+35), კოვალიოვი (პიტსბურგი) 55(20+35), ბერტუცი (ვანკუვერი) 54(26+28), მიურეი (ბოსტონი) 52(25+27), ჰოსა (ოტავა) 50(31+19), ჰეიდუკი (კოლორადო) 50(24+26), მოგილნი (ტორონტო) 50(21+29), მოდანო (დალასი) 50(18+32), უეიტი (სენტ ლუისი) 50(11+39), ფორსბერგი (კოლორადო) 49(15+34), იაგრი (ვაშინგტონი) 48(23+25), დემიტრა (სენტ ლუისი) 47(16+31), უიტნი (კოლუმბუსი) 47(14+33)



REUTERS

ფილადელფიელმა ჯიმ ვანდერმეერმა ტორონტოელი დარსი ტაკერი სუფთად ამოაყირავა



REUTERS კანბერიდან

# ხანძარი

დიდი ხანძარი მძვინვარებდა ავსტრალიის დედაქალაქ კანბერას შემოგარენში. ოთხასი სახლი დაიწვა და ოთხი კაცი დაიღუპა. სახლი დაეწვა ცნობილ მარათონელ რობერტ დე კასტელასაც, რომელიც ნირწამხდარი დგას თავის ეზოში.





REUTERS ზაგრებიდან

# იანიცა, აბა, ვინ?!

ხორვატი მოთხილამურე იანიცა კოსტელიჩი კარგ ხასიათზეა. ქვეყნის ოლიმპიურ კომიტეტს სწორედ მისთვის მიუნიჭებია წლის საუკეთესო სპორტსმენი ქალის წოდება და შესაბამისად ჯილდოც გადაუცია ზაგრებში.

# წასვლას აპირებს

სუმოს დიდი ჩემპიონი, ტაკანოჰანა მორიგ გოლიათურ შეჯიბრსა ხსნის ტოკიოს მეიჯი შრაინში. სევდისმომგვრელი კი ისაა, რომ ტრავმებით ტანჯულ ამ იოკუძუნას, სულ 30 წლისას, იაპონიის ყველაზე პოპულარულ სპორტსმენს გადადგომა განუზრახავს.



REUTERS ტოკიოდან

# ევროპის ყინულზე

ახლა ფიგურული სრიალის სეზონია და ჩრდილოამერიკული შიდა შეჯიბრებების კვალად ევროპის ჩემპიონატიც მიმდინარეობს შვედურ ქალაქ მალმიოში. ეს გერმანული წყვილი (კატი ვინკლერი და რენე ლოსე) საერთო ცხრილში მეხუთე ადგილს დასჯერებია, ლიდერობა კი რუსებს, ირინა ლობაჩოვას და ილია ავერბახს უპყრიათ.



REUTERS მალმოიდან





REUTERS

# ახალი ულრიხი

„ტურ დე ფრანსის" და „ვუელტას" ძველ გამარჯვებულს,ველოვარსკვლავ იან ულრიხს პირველად მოურგია შვეიცარიული გუნდის „ქოსთის" სვიტერი. ულრიხმა ახლახან მიატოვა თავისი ძველი გუნდი „დოიჩე ტელეკომი" და ახლა ახალი კონტრაქტის პრეზენტაციებშია ჩაბმული.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია აზვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge